# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 29 ივლისი. 2017 წ. №152-153 (8289-8290), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


### მოუშორებელი ჭირი

## უკრაინული ელიტების აცახცახებამდე შიშ-სიძულვილი პოპულისტი სააკაშვილისა!..




③

### ხანძარი შიგნიდან...



## აგორებული თვით-მოძრავი ჭური და პომპიერო გვარამია

④

## საფეხბურთო ტალანტი

⑥

### ვლადიმერ ბარქაია – 80 წლის ახალგაზრდა



## ხალხი რას არ იტყვის...

– პოროშენკოს ადგილას სააკაშვილს მივცემდი მედალს: „ოდესის განთავისუფლებისთვის";

– ჩვენიანი უცხოებში, უცხო ჩვენიანებში – მიხეილ სააკაშვილის შეურაცხმყოფელი ფრაზა;

– სიყვარულის ქვეყანა ტურიზმით ცხოვრობს;

– რახან ცხოვრება შაქარი არ არის, დიაბეტი საშიში არ ყოფილა...

– მე ისეთი ერთგული ვარ შენი, რომ ჩემს ქმარსაც უკვირს;

– მე ჩემი ქმრის მეგობარი ვარ, მაგრამ ის არ არის ჩემი დაქალი;

– თეთრი ლაქები ისტორიაში ხშირად შავი ლაქებია;

– უკეთუ ცხოვრებაში თქვენი ადგილი ვერ იპოვეთ, მაშასადამე, ის თქვენი ცხოვრება არ ყოფილა;

– ხელისუფლებას კი არ უნდა ელლაბუცო, პირიქით, იმის დაკრულს უნდა აჰყვე;

– ნაკვები ჩინოვნიკი თავის წილს მაინც კენკავს...



### უმრავლესობის განცხადება

## ანამ ანტისაპარლამენტო დოლი აადგაფდაფა!..

საპარლამენტო უმრავლესობა განცხადებას ავრცელებს და საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდებს, „მიიღოს ზომები, რათა შეწყდეს პრეზიდენტის წარმომადგენელთა მხრიდან საქართველოს პარლამენტისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების გამოვლენა".

**„26 ივლისს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე და სესიის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა მისი გამონათქვამებით უხეშად დაარღვია ეთიკის და კონსტიტუციურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთობის ნორმები.**

**ამ ფონზე, ჩვენთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელია საქართველოს პრეზიდენტის რეაქცია, რომელმაც ძირითადი კონსტიტუციური ორგანოს – საქართველოს პარლამენტის შეურაცხყოფაზე არათუ ადეკვატური რეაგირება მოახდინა, არამედ, პირიქით, სესიის მეორე დღეს თავისი წარმომადგენლის დაცვა სცადა.**

**ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეები არღვევენ საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობის ნორმებს და შეურაცხყოფას აყენებენ ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტარებს, რაც ცხადყოფს, რომ პროცესი არის წახალისებული და მართული საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ეთიკის ნორმებს არღვევს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურე და ამას არ მოჰყვება სათანადო რეაგირება პრეზიდენტის მხრიდან – ეს არის თანაბრად პრეზიდენტის დამოკიდებულებაც პარლამენტის მიმართ.**

**ვინაიდან, ეს გარემოებები საფრთხეს უქმნის სამომავლოდ კონსტიტუციურ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობას, მოვუწოდებთ ბატონ გიორგი მარგველაშვილს, მიიღოს ზომები, რათა შეწყდეს პრეზიდენტის წარმომადგენელთა მხრიდან საქართველოს პარლამენტისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების გამოვლენა",** – ნათქვამია განცხადებაში.

## მარგველაშვილს ეამაყება, რომ ანა დოლიძისნაირ ადამიანებთან ერთად ემსახურება სამშობლოს!



**მეამაყება, რომ ანა დოლიძისნაირ ადამიანებთან ერთად ვემსახურები ჩემს სამშობლოს და მასთან ერთად ვარ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში,** – ასე ეხმაურება საქართველოს პრეზიდენტი ანა დოლიძის საპარლამენტო გამოსვლის ირგვლივ შექმნილ ვითარებას.

**„მინდა შეგახსენოთ, რომ ანა დოლიძე არც ძველი კომკავშირელია და არც ახალი კომკავშირის მშენებელი!**

**ანა დოლიძე არც „ნაციონალური მოძრაობიდან" პორტირებულია „ქართულ ოცნებაში" და არც მედროვე.**

**ჩემი პრინციპი ყოველთვის იყო ანა დოლიძისნაირი ძლიერი, ღირებული ფასეულობების მქონე ადამიანებისთვის მიმეცა ქვეყნის სამსახურში ყოფნის შესაძლებლობა.**

**ბევრისაგან განსხვავებით, ქვეყანაში მძიმე ვითარების დროს, ანა არასოდეს გაჩუმებულა, არ შეშინებია პრინციპული პოზიციის დაფიქსირება. ხშირად მარტოც კი, მაშინ, როდესაც სულ რამდენიმე ადამიანი აპროტესტებდა გირგვლიანის მკვლელობას, როცა ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას, ანა იცავდა უსამართლობის მსხვერპლ ოჯახებს.**

**ალბათ ამიტომაც გახდა ანა დოლიძე შეურაცხყოფის სამიზნე „ქართული ოცნების" ზოგიერთი წარმომადგენლისთვის. ალბათ ამ პრინციპულობის გამო უშლიან მას ხელს კონსტიტუციური მოვალეობის შესრულებაში. ალბათ ამიტომ არის მიუღებელი არამარტო საპარლამენტო მდივნის თანამდებობაზე, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად.**

**თავს მოვალედ მივიჩნევ, კიდევ ერთხელ შევახსენო საზოგადოებას, რომ სწორედ ანა დოლიძისნაირი უშიშარი, პრინციპული, პროფესიონალი და კვალიფიციური ადამიანები ქმნიან ქვეყნის მომავალს და არა ის პიროვნებები, რომლებიც ერგებიან ნებისმიერ მთავრობას, რთულ ვითარებებში კი, საკუთარი სიჩუმის გადაფარვას აგრესიით და თავდასხმებით ცდილობენ.**

**ასეთ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში უამრავი საჭირბოროტო საკითხია გადასაჭრელი, გამოგონილი დაპირისპირებების შექმნა, ხალხისთვის მნიშვნელოვანი დღის წესრიგიდან გაქცევა ახალი არ არის.**

**მოვუწოდებ პარლამენტს, დაუბრუნდეს კანონშემოქმედებით საქმიანობას, დეპუტატები კი, კონცენტრირდნენ ქვეყანაში არსებულ რეალურ პრობლემებზე",** – ნათქვამია გიორგი მარგველაშვილის განცხადებაში.

26 ივლისს პარლამენტის რიგგარეშე სესიის დასრულების შემდეგ, დოლიძე მასსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს შორის მომხდარ დაპირისპირებას გამოეხმაურა.

**„ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც ვიხილეთ, რომ პარლამენტის თავმჯდომარე არის უზრდელი. თანამდებობისთვის შეუფერებელი, სამწუხაროდ, ეს არის ქართული პოლიტიკის „შარიკოვი". სამწუხაროდ, ის ასევე შეურაცხყოფას აყენებს ათი ათასობით სახელმწიფო მოსამსახურეს. ჩვენ საზოგადოებას მითითებული აქვს არაერთხელ ნულოვანი ტოლერანტობა მსგავსი დისკუსიის მიმართ",** – აღნიშნა ანა დოლიძემ.

# იან კელი: ჩვენ ამას შევხედავდით, არსებული სამართლებრივი სისტემის ჭრილში...



**ჩვენ ამას შევხედავდით, როგორც საერთაშორისო ვალდებულების, საერთაშორისო სამართლის და არსებული სამართლებრივი სისტემის ჭრილში,** — ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ ჟურნალისტებს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხზე კომენტირებისას განუცხადა.

**„ნებისმიერი პირი, ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, უნდა დაეყრდნოს სამართლებრივ განხილვას კომპეტენტური იურისტების დახმარებით, რადგან ეს არის სამართლებრივი საკითხი. ასეთი საკითხები უნდა წყდებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპით. რაც შეეხება მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხს, ეს არის მიმდინარე სამართლებრივი საკითხი და ამ საკითხზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. რაც შეეხება ამერიკის შეხედულებას, მათი გადმოსახედიდან ჩვენ ამას ვუყურებთ, საერთაშორისო ვალდებულებების, საერთაშორისო სამართლის და არსებული სისტემის ჭრილში. რაც შეეხება კონკრეტულ მოქმედებას, ეს არის უკრაინის სახელმწიფოს გადასაწყვეტი საკითხი და ისინი შესაბამისად მიუდგებიან“,** — განაცხადა იან კელიმ.

# ჩვენი ერთ-ერთი მიმართულება თბილისის ღამის ცხოვრების განვითარებაა



**„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე ვიდეომიმართვას ავრცელებს.**

როგორც კალაძე ამბობს, წინასაარჩევნოდ საკუთარი ხედვის წარდგენას უახლოეს დღეებში გეგმავს. მისივე თქმით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი თბილისში ღამის ცხოვრების განვითარება იქნება.

**„სიცოცხლით სავსე ქალაქი, ეს არის თბილისის ცხოვრება. უახლოეს მომავალში ვგეგმავთ, წარმოვადგინოთ ჩვენი ხედვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ მომავალი წლების განმავლობაში. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა თბილისის ღამის ცხოვრების განვითარება. ეს მხოლოდ გართობა ან დასვენება არ არის. პირიქით, ეს პირდაპირ კავშირშია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასთან და, რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, ჩვენი სიცოცხლით, ენერგიით სავსე ახალგაზრდების ჩართულობასთან.**

**მისასალმებელია, რომ ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.**

**მსგავსი პროექტების განხორციელებით შევძლებთ, უფრო მეტი ტურისტი მოვიზიდოთ, უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდეს ჩვენი ქვეყანა უცხოელებისთვის. ტურისტული განვითარების მთლიან კონცეფციაში ერთ-ერთ მიმართულებად ღამის თბილისის განვითარებასა და კეთილმოწყობას განვიხილავთ. ეს იქნება სტიმული დასვენებისა და ამ მიმართულებით ბიზნესის კეთების მსურველებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ღამის წესრიგის დამყარება — იქნება ეს უსაფრთხოების უზრუნველყოფა თუ ხმაურისა და სიწყნარის ზონების გააზრებული გამიჯვნა და დაგეგმარება“,** — აცხადებს კახა კალაძე.

# ...კონდიციონერების ნახევარზე მეტი არ მუშაობს

**ნამდვილად არადამაკმაყოფილებელია მძღოლების ცალკეული საქციელი და თითოეული მათგანი უნდა დაისაჯოს,** — ამის შესახებ თბილისის მერმა ჟურნალისტებს განუცხადა. დავით ნარმანია მიკროავტობუსის მძღოლისა და მგზავრის ფიზიკურ დაპირისპირებას გამოეხმაურა, რომლის ამსახველი ვიდეომასალაც გუშინ სოციალურ ქსელში გავრცელდა.



**„სამწუხაროდ, ყვითელი მიკროავტობუსების გარკვეულ ნაწილში კონდიციონერები არ არის გამართულ მდგომარეობაში, შესაბამისად, ის არ მუშაობს. ვატარებთ მონიტორინგს და ბოლო პერიოდში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, კონდიციონერების მხოლოდ ერთი მესამედია ჩართული. ჩვენ ვაფრთხილებთ სატრანსპორტო კომპანიას, რომ უფრო მეტად მიაქციონ ყურადღება მანქანების გამართულობას და მძღოლების ცალკეულ ქმედებას. ნამდვილად არადამაკმაყოფილებელია მძღოლების ცალკეული საქციელი და შეურაცხყოფის მიყენება მოქალაქეებზე. თითოეული მათგანი უნდა დაისაჯოს. სამწუხაროა ის, რომ ჩვენი წინამორბედების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, თბილისის მერიას ძალიან მკაცრი ზომების გატარების საშუალება არ აქვს“,** — განაცხადა თბილისის მერმა.

# ომის დანაშაულების გამოძიებაზე საჯარო დებატები გაიმართა

**„2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და უსაფრთხოების გამოძიება“ — გორში საჯარო დებატები გაიმართა. „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ სახალხო დამცველის მოადგილე დევნილებს, გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებთ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შეხვდა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ გამოძიებაზე ინფორმაცია მიაწოდა. საუბარია ეთნიკურ წმენდაზე და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ხელოვნურ ცვლილებაზე. ნათია კაციტაძემ საერთაშორისო სასამართლოს როლზე, ხელისუფლების გამოძიებასთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებზე ისაუბრა. დევნილებმა და მოსახლეობამ იმედი გამოთქვეს, რომ გამოძიება ობიექტურად ჩატარდება და დამნაშავეები პასუხს აგებენ.**

საჯარო დებატები ევროკავშირის პროექტის — **„სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“** —ფარგლებში იმართება.

# ციანიდის შეძენაზე გამოძიება გრძელდება... კონკრეტული წრე უკვე შეკრულია!



ე.წ. ციანიდის საქმის პროკურორი აცხადებს, რომ კონკრეტული წრე უკვე შეკრულია და ციანიდის შეძენაზე გამოძიება გრძელდება.

**„საქმეში მოიპოვება ვიდეოჩანაწერები, თუ სად გადაადგილდებოდა მამალაძე ბათუმიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ. შეიქმნა მისი გადაადგილებისა და სავარაუდო მარშრუტის რუკა. დეკანოზი რამდენიმე პირს შეხვდა აეროპორტში მისვლამდე, ისინი დაიკითხნენ, დაესვათ კონკრეტული კითხვები, თუ რაზე ჰქონდათ საუბარი და რატომ ჰქონდათ კონსპირაციული შეხვედრები. ციანიდის შეძენაზე გამოძიება მიმდინარეობს, კონკრეტული წრე გამოკვეთილია და დეტალებს შეგატყობინებთ“,** — აღნიშნა პროკურორმა ზვიად გუბელაძემ.

# ბაქო-ბათუმის საავტობუსო რეისები შესაძლოა, ყოველდღიური გახდეს

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აღნიშნული მარშრუტით ივლისში უკვე ისარგებლა 522 მგზავრმა და მისი განხორციელება ბაქოს საერთაშორისო ავტოსადგურიდან 30 ივნისიდან დაიწყო.

**„რეისი ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს სრულდება და ბილეთის ფასი 40 მანათია. თუ კი საჭიროება იქნება, არ გამოვრიცხავთ, რომ რეისები ყოველდღიური გახდეს“,** — აცხადებენ ავტოსადგურში.

ბაქოდან ბათუმის მიმართულებით თანამედროვე სტანდარტების ავტობუსი, ბაქოს საერთაშორისო ავტოსადგურიდან, 18:00 საათზე გამოდის და ბათუმში 09:00 საათზეა. მგზავრობის ღირებულება 40 აზერბაიჯანული მანათია. 5 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მგზავრობა უფასოა, ხოლო 5-დან 10-მდე მოზარდებისათვის 50%-იანი ფასდაკლება მოქმედებს. ბილეთების შეძენა შესაძლებელია როგორც ავტოსადგურის სალაროებში, ასევე ავტოვაგზლის ვებ-გვერდზეც.

**აღნიშნულ მარშრუტზე ორსართულიანი ავტობუსი მოძრაობს, სადაც გათვლა 80 მგზავრზეა: 20 მგზავრი — მაღლა, 60 მგზავრი — დაბლა. ავტობუსის სალონში განთავსებულია ტელევიზორები, კონდიციონერი და ასევე მოქმედებს უფასო Wi-Fi-ს სერვისი.**



# სხვა ქართველ ჩინოვნიკებსაც მიშას ბედი ელოდებათ?..

**მიხეილ სააკაშვილისათვის პეტრო პოროშენკოს მიერ უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევას გავლენიანი ამერიკული გამოცემა „The New York Times“ ჟურნალისტ ენდრიუ კრამერის სტატიით ეხმაურება.**

ოდესღაც ისინი ცნობილი მოკავშირეები იყვნენ კრემლთან დაპირისპირებაში: უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო და საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი იმაზეც კი დათანხმდა, რომ მას პეტრო პოროშენკოს ხელმძღვანელობის ქვეშ ემუშავა, რეგიონის გუბერნატორის სახით. მაგრამ მათი ურთიერთობის დონე ახლა იმდენად ძირს დაეცა, რომ პეტრო პოროშენკომ მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვა და იგი საერთოდ მოქალაქეობის გარეშე დატოვა.

კონფლიქტი უკრაინაში გავრცელებულ კორუფციასთან დამოკიდებულების გამო დაიწყო. როცა 2014 წლის რევოლუციით პრორუსული პრეზიდენტი დაემხო, მიხეილ სააკაშვილი და კიდევ ათამდე ქართველი ჩინოვნიკი უკრაინაში გაემგზავრნენ, რათა ახალ ხელისუფლებას კორუფციასთან ბრძოლაში დახმარებოდნენ. მაგრამ დიდი დრო არ იყო გასული, რომ მიხეილ სააკაშვილმა ჩივილი დაიწყო — ქვეყნის ხელისუფლება ძალიან ცოტას აკეთებს კორუფციასთან ბრძოლის მიზნითო.

საქართველოს ექს-პრეზიდენტი ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტიდან გადადგა და თავისი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება დაიწყო. ამასობაში მისი ურთიერთობა პეტრო პოროშენკოსთან ძალიან გაუარესდა, რაც პრეზიდენტის ბრძანებულებით დასრულდა — მიხეილ სააკაშვილისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ. თავის მხრივ, საქართველოს ექსპრეზიდენტმა განაცხადა, რომ პეტრო პოროშენკო რისკიან გზას დაადგა, რომელსაც უკრაინაში კიდევ ერთი სახალხო აჯანყების გამოწვევა შეუძლია. და ყველაზე შეურაცხმყოფელი რაც იყო პეტრო პოროშენკოსათვის, როგორც ვლადიმერ პუტინის ოპონენტისთვის, ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილმა ივარაუდა — შესაძლოა, პეტრო პოროშენკოც რუსეთში გაიქცესო.

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციას ბრძანებულების ტექსტი არ გამოუქვეყნებია, თუმცა, როგორც ადგილობრივი მასმედია წერს, მოქალაქეობის ჩამორთმევის მიზეზი ის ფაქტი გახდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა ანკეტის შევსების დროს რაღაც ფაქტები დამალაო, კერძოდ, არ მიუთითებია, რომ საქართველოში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული და გამოძიება მიმდინარეობდა.

პრეზიდენტის ბრძანებულებამ უკრაინულ პოლიტიკაში მღელვარება გამოიწვია, მათ შორის იმ ქართველ ჩინოვნიკებშიც, რომლებიც 2014 წელს უკრაინაში სამუშაოდ წავიდნენ რეფორმების გატარებისა და ქვეყნის მართვის სისტემის გარდაქმნის მიზნით. მათ, უკრაინის „სახელმწიფოს სამსახურის“ კანონის შესაბამისად, უარი თქვეს საქართველოს მოქალაქეობაზე და უკრაინის მოქალაქეები გახდნენ. ახლა კი, პრეზიდენტის ბრძანებულებით, იქმნება იმის პრეცედენტი, რომ სხვა ქართველ ჩინოვნიკებსაც მიხეილ სააკაშვილის მსგავსი ბედი ელოდებათ — მოქალაქეობის ჩამორთმევა და თანამდებობებიდან გათავისუფლება. ერთ-ერთი ასეთი ჩინოვნიკი შეიძლება იყოს გიზო უგლავა — უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს დირექტორის მოადგილე. სხვათა შორის, ამ ბიურომ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის კომპანიის წარმომადგენელ პოლ მანაფორტისათვის წინა წლებში თანხის გადახდის ფაქტები გამოავლინა, რომლებიც აღრიცხული არ იყო. პეტრო პოროშენკოს ადმინისტრაცია კი ცდილობდა, რომ ბიუროს მუშაობა დაემუხრუჭებინა.

**ენდრიუ კრამერი,**
**„The New York Times“ (აშშ)**



# უკრაინული ელიტების აცახცახებამდე შიშ-სიძულვილი პოპულისტი სააკაშვილისა!..

**მართლაც, საფრანგეთსა და გერმანიას (პირველ რიგში, რასაკვირველია, იმ ჩვენს სათნო და კეთილ „ბებია მერკელს“) არაფრის დიდებით არ სურდათ.... ეს კი არა, კოშმარად ეჩვენებოდათ, რომ მიშა უკრაინის პრემიერი ან თუნდაც გავლენიანი პოლიტიკური პარტიის ლიდერი გამხდარიყო, რაკი იცოდნენ (არა მგონია, ამაში ცდებოდნენ): „პრემიერ-მინისტრი მიხეილ სააკაშვილი“ გახდებოდა უკანასკნელი არგუმენტი პუტინისთვის, რათა ნამდვილი ომი დაეწყო, ყველაფერი უკრაინისთვის დაებრალებინა (როგორც საქართველოს გადააბრალა 2008 წელს) და „მალოროსიის“ იმპერიალისტური იდეა განეხორციელებინა — კიევიც აეღო და ლვოვიც.**

## „აპატრიდი“ (უსამშობლო) მიშა სააკაშვილი

**„აპატრიდი“ (ლათინურიდან apatris და ძველებრძნულიდან ἀ + πατρίς) პირდაპირი, ანუ მექანიკური თარგმნით ნიშნავს „უსამშობლოოს“ (ძირით Patria —სამშობლო), ხოლო თანამედროვე იურიდიულ ენაზე აღნიშნავს „ფიზიკურ პირს“, სუბიექტს, ვისაც არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ გააჩნია.**

უკრაინის პრეზიდენტმა უკვე მოაწერა ხელი განკარგულებას, რომლითაც დაადასტურა საემიგრაციო სამსახურის გადაწყვეტილება, ჩამოერთვას მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა იმ საბაბით, რომ მოქალაქეობის მიღებისას მან გააყალბა განაცხადი, ანუ არ აღნუსხა შესაბამის გრაფაში ქართული პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე.

უკრაინული ელიტებისა და ხელისუფლების ცინიზმი მართლა ყოველგვარ ზღვარს სცილდება. თურმე ნუ იტყვით, 2015 წელს, როცა მიშამ განაცხადი შეიტანა მოქალაქეობის მისაღებად, საემიგრაციო სამსახურმა არ იცოდა, ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ ოთხი სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული საქართველოში, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლომ მისი დაპატიმრების სანქციაც კი გასცა.....და ეს მხოლოდ მას შემდეგ შეიტყვეს (თურმე), რაც მიშა იუსტიციის მინისტრს შეუვარდა კაბინეტში და მშობლები მოუკითხა.

უკრაინელი ექსპერტები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ სწორედ ეს ეპიზოდი გახდა „უკანასკნელი წვეთი“, რამაც აავსო პეტრო პოროშენკოს მოთმინების ფიალა. იმიტომ, რომ პოროშენკო საკმაოდ გამოცდილი „პოსტსაბჭოთა ცხოველია“ და შესანიშნავად იცის: ამ სივრცეში ჩამოყალიბებული მენტალობითა და განწყობებით, მინისტრს საკუთარი ღირსება არ გააჩნია. „მინისტრის ღირსება პრეზიდენტის ღირსებაა!“ და თუ პრეზიდენტი მინისტრის ღირსებას ვერ იცავს, ეს მთავრობა მას აუცილებლად დაემხობა თავზე. ისევე, მაგალითად, როგორც დაემხო თავზე ედუარდ შევარდნაძეს, როდესაც თავისი მინისტრების „გადარდუბალებას“ ხელი ვერ (არ) შეუშალა.

ამიტომ იუსტიციის სამინისტროში მიშას რეჟისორობით დადგმული სპექტაკლის „გაპიარების“ შემდეგ პოროშენკოს აუცილებლად უნდა ემოქმედა. რაღაც უნდა ეღონა. ფსონზე მისი გავლენა და ავტორიტეტი იდო ყველაზე მნიშვნელოვანი სახელისუფლებო კატეგორიის — საყრდენი ბიუროკრატიის თვალში.

მტკნარი სისულელეა, თითქოს საქართველოში ყოფნისას ბიძინა ივანიშვილმა „მოსთხოვა“ და პეტრომაც, თურმე, აუტკივარი თავი აიტკივა.

რა ისეთი ვალი ადევს ან პოროშენკოს — ივანიშვილის, ან უკრაინას — საქართველოსი, ამის გამო ისეთი გადაწყვეტილება მიეღო, რაც თავად არ სურდა და თავად არ სჭირდებოდა?

* * *

**მაგრამ მხოლოდ პოროშენკოს ბოღმა არ ყოფილა განმსაზღვრელი. იყო კიდევ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი. მათ შორის, მთლიანობაში, უკრაინული ელიტების, ლამის ფანატიკური, აცახცახებამდე შიშსიძულვილი (მარტივად — „ფობია“) პოპულისტ სააკაშვილის მიმართ.**

უკრაინული „ნარინჯისფერი რევოლუციები“ (პირველიც და მეორეც) იმით განსხვავდებოდნენ ქართული „ვარდების რევოლუციისგან“, რომ „მაიდნების“ შედეგად მხოლოდ მთავრობები იცვლებოდა და არა ელიტები: საქართველოში კი, 2003 წლიდან, რევოლუციონერებმა „ძველი ელიტები“ მთლიანად გაანადგურეს, საჯარო სივრციდან განდევნეს, ქონება წაართვეს, თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით ციხეში გამოამწყვდიეს.

უკრაინულ ელიტებს აშკარად ეშინოდათ, რომ ქართველი რეფორმატორები, უკრაინელ მოკავშირეებთან (მათ შორის, არასისტემურ ოპოზიციასთან) ერთად, მათაც ასევე დაამხობდნენ და ქონების ხელახალ გადანაწილებას წამოიწყებდნენ, როგორც საქართველოში. ამიტომ, მიშა და მისი გუნდი კიევში ძალიან ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა; უკვე ცხადია: ეს წინააღმდეგობა მათთვის გადაულახავი აღმოჩნდა, რადგან უკრაინაში მათ არ ექნებოდათ ისეთი კომფორტი (რეფორმების გატარებისას) როგორიც საქართველოში 2004 წელს, როცა ერთპარტიული პარლამენტი ერთ დღეში სამივე მოსმენით იღებდა ნებისმიერ რეფორმატორულ კანონს.

ასეთ გარემოში რეფორმების გატარება ადვილია. ბევრად ძნელია დემოკრატიისა და პოლიტიკური პლურალიზმის, შესაბამისად მრავალპარტიული პარლამენტის პირობებში. ამიტომ „ქართული რეფორმაციის დამყნობამ“ რთულ უკრაინულ ნიადაგზე ნაყოფი ვერ „ახარა“. მიშას კი იქა(ც) წარმატება სურდა და არა უბრალოდ ერთ ჩვეულებრივ „მორიგ“ უკრაინელ პოლიტიკოსად ქცევა.

* * *

**თუმცა, იყო კიდევ მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც პოროშენკოს გადაწყვეტილება გაუიოლა და რაზეც სააკაშვილის ქართველი თანაპარტიელები, გასაგები მიზეზების გამო, არ ლაპარაკობენ: გასულ წელს, საფრანგეთის რადიოსთან ინტერვიუში, სანდრამ თქვა უცნაური ფრაზა, რასაც „რატომღაც“ თბილისში არავინ მიაქცია ყურადღება: ევროპელები წინააღმდეგი არიან მიშა ოდესიდან კიევში დაწინაურდეს, ამიტომ ოდესაში მისი დატოვება უნდათ, რათა კიევში გავლენიან პოლიტიკოსად, მაგალითად პრემიერ-მინისტრად ვერ იქცესო.**

**მართლაც, საფრანგეთსა და გერმანიას (პირველ რიგში, რასაკვირველია, იმ ჩვენს სათნო და კეთილ „ბებია მერკელს“) არაფრის დიდებით არ სურდათ.... ეს კი არა, კოშმარად ეჩვენებოდათ, რომ მიშა უკრაინის პრემიერი ან თუნდაც გავლენიანი პოლიტიკური პარტიის ლიდერი გამხდარიყო, რაკი იცოდნენ (არა მგონია, ამაში ცდებოდნენ): „პრემიერ-მინისტრი მიხეილ სააკაშვილი“ გახდებოდა უკანასკნელი არგუმენტი პუტინისთვის, რათა ნამდვილი ომი დაეწყო, ყველაფერი უკრაინისთვის დაებრალებინა (როგორც საქართველოს გადააბრალა 2008 წელს) და „მალოროსიის“ იმპერიალისტური იდეა განეხორციელებინა — კიევიც აეღო და ლვოვიც.**

დიდი ომი კი, მშვიდ და, მთლიანობაში მაინც ბედნიერ ევროპას ნამდვილად არ უნდა. გაიარეთ „რასპაის ბულვარზე“ ან „კურფურსტენდამზე“ და შეიხედეთ კაფეებში. უნდათ ახლა იმათ ომი?! ევროპული მთავრობები კი ევროპელი ობივატელების ინტერესებს გამოხატავენ!

აქედან გამომდინარე, პოროშენკომ ძალიან კარგად იცოდა, მიშასთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას ევროპელ ლიდერთა მდუმარე თანხმობა მოჰყვებოდა. შვებით ამოსუნთქვაც კი.

რას იზამს მიშა? მისთვის არაფერი არ დამთავრებულა, რადგან არც ამერიკა, არც ნიდერლანდი „ბინადრობის უფლებას“ არ დაამადლის. მოქალაქეობას არა, მაგრამ „წასასვლელი არსად აქვსო“, ასე არაა საქმე.

**უკრაინაში ვერ დაბრუნდება, თუ სტრასბურგის სასამართლომ (აი, ამიტომაცაა თბილისში ასეთი „ჭიდაობა“ იმ სასამართლოში „გავლენის რესურსებისთვის“) კიევის გადაწყვეტილება უკანონოდ არ ცნო. სხვა შემთხვევაში, პირდაპირ „ბორისპოლის“ აეროპორტიდან გააქანებენ თბილისში და აღმოჩნდება მატროსოვზე.**

* * *

**არადა, ეს ყველაზე ნაკლებად ახლა „ოცნებას“ აწყობს. აბსოლუტურად „უჭირო“ თავის ტკივილია!**

კი ბატონო, წარმოვიდგინოთ მიშა თბილისის (მატროსოვის ან გლდანის) ციხეში. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ მის „თმის ბეწვზე“ უნდა იზრუნოს, კომფორტული პირობები შეუქმნას, რათა არ გაცივდეს, საყვარელი ხინკალი არ მოაკლდეს... იმასაც ნიშნავს, რომ ციხესთან და სასამართლოსთან ბობოქარი მიტინგები გაიმართოს „მიშა... მიშას“ სკანდირებით

„მიშას მოწინააღმდეგეთა მიტინგები“ კი ასეთი მრავალრიცხოვანი არ იქნება, რადგან საქართველოში (განსხვავებით იმავე ამერიკისა და ევროპისგან) დაპატიმრების საჯარო „გაპრავება“ საზოგადოების კულტურულ-მენტალურ კოდებს ეწინააღმდეგება და „ცუდ ტონად“ ითვლება. მიშას დაჭერა ძალიან ბევრს გაუხარდება და აბსოლუტურად სამართლიანადაც ჩათვლის სააკაშვილს ციხე „ახეხინონ“, მაგრამ აქ საჯარო გამოხატვაზეა ლაპარაკი და ეს ერთ-ერთი მახასიათებელია, რაც საქართველოს დასავლური საზოგადოებისგან განასხვავებს. სხვა საქმეა, კარგია ეს თუ ცუდი.

ამიტომ „ოცნებისთვის“ იდეალური სიტუაცია სწორედ ისაა, რაც ახლა შეიქმნა, როცა მიშა აღარც უკრაინის მოქალაქეა და შორეულ ამერიკაში იცხოვრებს, ან, თუნდაც, შორეულ ნიდერლანდში, სადაც ძალიან მკაცრი კანონები არეგულირებს „აპატრიდთა“ (უსამშობლოთა) პოლიტიკურ აქტივობას საზღვარგარეთ.

ამერიკა და ნიდერლანდი უკრაინა არ არის. იქ ვერაფერს „გააიმასქნებ“, რადგან კანონი კანონობს და თუ კანონი კრძალავს „აპატრიდი“, ვისაც ბინადრობის უფლება მოჰმადლეს, სხვა ქვეყანაში არ აქტიურობდეს პოლიტიკურად, მაშინ ის ვერც იაქტიურებს.

სწორედ ამიტომ იყო უკრაინა მიშასთვის ბევრად უფრო „კომფორტული“ — როგორც „პლაცდარმი“ ქართულ პოლიტიკაში დასაბრუნებლად, თორემ საქართველოში ძალაუფლებისა და საკუთარი „რეფორმატორული“ პროექტის გაგრძელების გარდა, მას არც არაფერი აინტერესებდა ოდესმე და არც მომავალში დააინტერესებს.

* * *

**უკრაინაში მიშას მთავარი შეცდომა ის იყო, რომ იქ მან აშკარად გადაამლაშა. თანაც, არა იმდენად შინაარსის, რამდენადაც სტილის თვალსაზრისით, ანუ ვერ განსაზღვრა ის „წითელი ხაზი“, რომლის გადაკვეთის უფლებასაც უკრაინული ელიტები აღარ მისცემდნენ და ნებისმიერ ფასად „მოიშორებდნენ“.**

**თავის მხრივ ეს შეცდომაც მარტივი ფორმულიდან გამომდინარეობს: საქართველო სხვაა და უკრაინა — სულ სხვა.**

**ნიკა იმნაიშვილი**

# აგორებული თვითმოძრავი ჭური და კომპიერო გვარამია



**გასული კვირა საკმაოდ ცხელი იყო როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით.**

პირველი და უმთავრესი, მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევა და მისთვის უკრაინის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა იყო.

ბუნებრივია, ამ საკითხთან დაკავშირებით გაკეთდა უამრავი განცხადება, გამოითქვა მრავალი მოსაზრება და მიხეილ სააკაშვილი CNN-ზეც მიიწვიეს.

ამ ინტერვიუს ნაცებისა და მისი სატელიტების მხრიდან დიდი აღფრთოვანება მოჰყვა, რასაც სოციალური ქსელის, ფეისბუქის ერთ-ერთი მომხმარებლის, ვეტერან დავით ახრახაძის ლაკონიური შეფასება მოჰყვა: **ნაცები ღრუბლებში დაფრინავენ სიხარულით, მიშა სი-ენ-ენზე იყოო, რამ გადაგრიათ თქვე უბედურებო, ვერა რეჩკა რო ადიდდა, მთელი დღე სი-ენ-ენი ჩვენს ბეჰემოთს აჩვენებდა.**

მანამდე კი ექსპარლამენტარმა ნინო კალანდაძემ ცრემლით დანამა კომპიუტერის კედელი: **სააკაშვილის პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორების იდეა არ ეკუთვნის არც ივანიშვილს და არც პოროშენკოს. ეს არის პუტინის გეგმა და დაიწერა კრემლში. ივანიშვილი დიდი ხანია, ამ ინსტრუქციით ხელმძღვანელობს. სამწუხაროა, ამავდროულად უმძიმესი და უპატიებელი პოლიტიკური შეცდომა, თუ ახლა საქართველოს მოკავშირე ქვეყნის და სტრატეგიული პარტნიორის პრეზიდენტი, რომელსაც ქვეყანა თითქოსდა დასავლეთისკენ მიჰყავს, ივანიშვილიზაციის გზას ადგება. ორმაგად სამწუხარო, თუმცა ნიშანდობლივია, რომ ეს მაშინ ხდება, როცა დასავლეთი რუსეთს სანქციებს უმკაცრებს.**

არ დავიწყებ ძალიან დიდი ანალიზისა და პოლიტფრაზების ფრქვევას. უბრალოდ, მოვიტან ამონარიდს ნოდარ დუმბაძის შესანიშნავი რომანიდან „მე ვხედავ მზეს“.

**„დათიკო შუა წრეში გავიდა და დადგა, გამხდარი, წვერგაუპარსავი, თვალებდასისხლიანებული და ტანსაცმელშემოგლეჯილი. მან ხალხს მოავლო თვალი.**

**მერე ყველას სათითაოდ და ვისაც კი შეხედავდა, ყველა უკან იხევდა, უხერხულად იშმუშნებოდა და თავს ხრიდა. დათიკო იდგა და ელოდა, როდის ამოიღებდა სოფელი ხმას, მაგრამ მისი სოფელი დუმდა, როგორც სამარე და მე შემეშინდა ამ დუმილის ისე, როგორც ომის დაწყების პირველ დღეს შემეშინდა მისი.**

**დათიკო კიდევ დიდხანს ელოდა, მაგრამ ხალხი დამუნჯდა.**

**მაშინ დათიკომ მოიგლიჯა ქამარზე თასმით დაბმული რევოლვერი, მიწაზე დააგდო და მორჩილად ჩამოუშვა ხელები.**

**ხალხი ისევ დუმდა.**

**— ამოიღეთ, ხალხო, ხმა! — თქვა დათიკომ მუდარით და ხმის კანკალით. ხალხი ხმას არ იღებდა.**

**— გამოდი, ვალოდია, და დამიჭირე, ხომ ხარ უშიშროების მუშაკი, გამოდი, რას უყურებ, დაყრილი მაქვს იარაღი! — მიუბრუნდა იგი ვალოდია ჯაშს.**

**ვალოდია გამოვიდა წრიდან და დათიკოს პირდაპირ დადგა. ხალხი გაინაბა.**

**ხალხი ელოდა რაღაც უბედურებას, სროლას, დაპატიმრებას, ყვირილს, შერცხვენას, ტირილს და მოხდა რაღაც უფრო უარესი, საშინელი და წარმოუდგენელი: ვალოდია ჯაში შეტრიალდა და ისე გავიდა სკოლის ეზოდან, უკან არ მოუხედავს. დათიკო გაფითრდა, ყბა მოენგრა.**

**— ბადრია, შენ რაღას უყურებ, გამოდი და ამიყვანე პატიმრობაში, აღარ შემიძლია მეტი, კაცი არ ხარ?— მიუბრუნდა იგი ბადრია თავართქილაძეს. მაგრამ ბადრია უკვე გადიოდა სკოლის ეზოდან.**

**— ხალხო! — დაიკვნესა დათიკომ და ხალხმა გააკეთა იგივე, რაც ვალოდიამ და ბადრიამ, ისინი თავჩაქინდრულები, უხმოდ, თითო-თითოდ გადიოდნენ წრიდან და ტოვებდნენ შუა მინდორში ქრისტეს გლახასავით ვედრებად დავარდნილ დათიკოს.**

**მერე მან თვალებზე აიფარა ხელები, მუხლებზე დაეცა და ბავშვივით აქვითინდა.**

**მე ვუყურებდი დათიკოს და ვფიქრობდი, რა ბედნიერი იყო ამ წუთში ხატია, რომ ვერ ხედავდა, როგორ ტიროდა იგი და როგორ ხდებოდა თანდათან ეს მთასავით ვეებერთელა კაცი მუშტისხელა.**

სამწუხაროდ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ამ სცენის არსს ვერც სააკაშვილი და ვერც მისი ლიბერასტი, ავადმყოფი მომხრეები ვერ გაითავისებენ.

სამწუხაროდ!

* * *

ახლა რაც შეეხება მიშას ექსტრადიციას და გასამართლებას:

რეალურად რომ შევხედოთ, პირველი და უმთავრესი: მიშას ექსტრადიცია და გასამართლება არ აწყობს იმ ძალას, რომელიც მასთან ერთად ჩართული იყო იარაღისა და ნარკოტიკების საერთაშორისო მასშტაბებით ვაჭრობაში.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი: არ აწყობთ „ფერადი რევოლუციებით“ „სამყაროს ახლებურად მოწყობის“ პროექტის ავტორებს.

მესამე და ჩვენთვის მეტად მგრძნობიარე: მიშას ექსტრადიცია და გასამართლება არ აწყობს იმ ჯალათებს, რომლებიც მიშასთვის თავის მოწონების მიზნით საკუთარი თაოსნობით სჩადიოდნენ სხვადასხვა საშინელ დანაშაულს და ისრები ბუნებრივად მიშასკენ მიდიოდა.

რეალური გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ მიშას მისცენ თავშესაფარი რომელიმე სამხრეთამერიკულ სახელმწიფოში (ამას მეორე პუნქტის „ხალხი“ მოახერხებს) და მიივიწყონ, მაგრამ საკითხავი ის არის, რომ პირველ პუნქტში დასახელებული ხალხი რამდენად დარჩება მისი მემუარების გამოქვეყნების შიშის ქვეშ და მოახერხებენ თუ არა, რომელიმე ქართველი ჯალათის ხელით მის მოშორებას?

მით უმეტეს, რომ პრეცედენტი უკვე არსებობს. მიშას და მისი იდეური მომხრეების ბელადი ლევ ტროცკი მექსიკაში წერაყინით მოკლეს.

მოკლედ რომ ვთქვა, „თვითმოძრავი ჭური ისევ აგორდა“ და საბოლოოდ სად დაეჯახება იმ ქვას, რომელიც მას დაამსხვრევს, ჯერჯერობით უცნობია.

* * *

**შემდეგ იყო „ხანძარი“ რუსთავი 2-ში, რომელიც ღამის 12 საათზე გაჩნდა და ტელეკომპანიის მაუწყებლობა რამდენიმე წუთით შეჩერდა.**

ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებითაც გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ რეალური სურათი ასეთია:

ცხადია, ეს არ არის არც დიკო ჯოჯუას დედამთილის მოულოდნელი მოსვლა, რის გამოც დიკომ ანთებული სიგარეტი ერთ-ერთ შემდგომში დამწვარ სკამში დამალა და არც რაიმე ნორმების დაუცველობა.

ყველაფერში „დამნაშავე“ ის ფინანსური დავალიანებაა, რომლის გადახდაც ამ რამდენიმე დღის წინათ გვარამიას მოსთხოვეს.

კარგად დაწერილი სცენარი კი მეხანძრე-მაშველებმა სულ აურ-დაურიეს. ამის დასტური საგანგებო ჩართვის დროს ნათლად გამოჩნდა:

**ნოდარიკო მელაძის შეკივლება — სად არიან მეხანძრეები ამდენ ხანს!**

**თამარ ბაღაშვილის მიერ წინასწარ დაზეპირებული ტექსტი, რომელიც მეხანძრეების წყალობით დაახლოებით ისე გაისმა, როგორც „დინამოს“ ფეხბურთელების შემადგენლობის წარდგენის ნაცვლად, „მილანის“ შემადგენლობის ჩამოთვლა.**

**გვარამია ამერიკაში იყო ბელადთან შესახვედრად.**

**იმ თანამშრომელს, რომელმაც ცეცხლმქრობი მოიტანა, უეჭველი მოხსნიან.**

**მეთოდები დაგიძველდა კომპიერო-გვარამია.**

* * *

შემდგომ „ცხელი ქარი“ პარლამენტში შევარდა და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივან ანა დოლიძესა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის სამუმივით დატრიალდა.

არც ამ ამბავს მოვყვები, რადგანაც ყველამ ვიცით ის არაკორექტული გამონათქვამი, სადაც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა პარლამენტის თავმჯდომარეს თავხედი, თანამდებობისთვის შეუფერებელი (გამახსენდა ფილმი „სიყვარული ყველას უნდა“) და შარიკოვი (ბულგაკოვის რომანი „ძაღლის გული“) უწოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებითაც გაკეთდა პოლიტიკოსთა საკმაოდ მკაცრი შეფასებები. მე კი ვიტყვი, რომ საკმაოდ შემაშფოთებელი ტენდენცია ჩამოყალიბდა საქართველოში: პრეზიდენტის





ადმინისტრაცია თავს ცალკე სახელმწიფოდ, ქვეყნისგან რაღაც განყენებულ, მისტიკურ წარმონაქმნად აღიქვამს. ეს აღქმა მათ ფაქტობრივად აშორებთ რეალობას და სადღაც ზევით, მთლად ზეცაში არა, მაგრამ რაღაც უაზრო ლიბერალურ ღრუბლებში ალივლივებთ.

ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ე.წ. აგრესიული ლიბერალიზმის, ანუ სწორად რომ ვთქვა — ტროცკისტულ-ბოლშევიკურ წიაღში „აღზრდილი“ და ამ წიაღში განათლებამიღებული ხალხი, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელიც ქალბატონი ანაა, თავს მაღალი რასის წარმომადგენლებად მიიჩნევენ.

ისინი ძალიან გვანან ჰოლივუდის ფანტასტიკური ჟანრის ფილმების იმ გმირებს, რომლებიც დედამიწა გარობოტებული, ერთნაირად მოაზროვნე, ერთნაირი სურვილების მქონე, ურეაქციო არსებებად აქციეს და ადამიანში თავისუფალი ნების გამოხატვის წინააღმდეგ იბრძვიან და რასაც სწორედ თავისუფლების სახელით აკეთებენ.

მათთვის არსებობს მხოლოდ თავიანთი „სიმართლე“, რომელსაც ინტელექტუალური ლოგიკით ვერ ასაბუთებენ, ამის გამო ხდებიან აგრესიულები და მათი გაწიწმატების ხარისხი, ზუსტად შეესაბამება მათი, ასე ვთქვათ, „პოპულარობისა და ცნობადობის“ ჭდეს. ამის დამადასტურებლად დააკვირდით პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მიმიკებს, მისი სახის კუნთებისა და ხელების მოძრაობას. დააკვირდით ე.წ. „გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციების“ წევრების მიხრა-მოხრას, მათი საუბრის მანერას, ინტონაციას და თავისუფლად მიხვდებით, რომ ისინი თავს სწორედ მაღალი რასის საშუალო, ანუ შემსრულებელი რგოლის წარმომადგენლებად თვლიან.

ამ ყველაფრის მამამთავარი კი არის გიგა ბოკერია, რომელიც ცდილობს, რომ ე.წ. „ევროპული საქართველო“ მეორე პოლიტიკურ ძალად აქციოს და ამისთვის ნებისმიერ ხერხს იყენებს.

მაგალითისთვის მოვიყვან 23 ივლისს დავით აღმაშენებლის გამზირზე გამართულ მსვლელობას, რომელიც ერთი შეხედვით ძალადობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მან „ტალღა“ ისეთ მგრძნობიარე თემაზე ააგორა, რომელსაც ყველაზე ვერაგი ადამიანიც ვერ მოიფიქრებდა. ბოკერიამ და მისმა მეუღლემ საბოლოოდ გაწირეს ახალგაზრდა გოგონას პოლიტიკური მომავალი. იმ გოგონასი, რომელიც, ფაქტობრივად, მათი პოლიტიკური ძალის იდეური მომხრე იყო და ამისათვის სრულად გამოიყენეს მათ ხელთ არსებული მედიარესურსი.

ძალიან ცუდია, რომ ქვეყანაში არ არსებობს მედიასაშუალება, რომელიც შეძლებს ბოლომდე ჩამოხსნას ნიღაბი და როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ აჩვენოს ბოკერიას და მისი გუნდის რეალური სახე. ისინი თავიანთი მიზნის მისაღწევად თავისუფლად გადაივლიან არა მხოლოდ მოწინააღმდეგეთა, მომხრეთა გვამებზეც.

სამწუხაროდ, „გარობოტების“ თეორია ხელისუფლებაშიც საკმაოდაა ფეხმოკიდებული. მოვიყვან უმარტივეს მაგალითს: **საქართველოსთვის ამერიკის მხარდაჭერა იზრდება** — აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სოფიო ქაცარავა.

კი ბატონო, კარგია რომ იზრდება, მაგრამ გაიგეთ, რომ ეს მხარდაჭერა საქართველოსთვის იზრდება! **საქართველოსთვის!!!**

და არა გაურკვეველი სქესის, რწმენის, ჯიშის არსებებისთვის, რომლებიც ხან ჯულიეტოვნას ეთერიდან ბოდავენ და ხან საქართველოს წინააღმდეგ აღმაშენებელზე გამართულ მანიფესტაციაზე ცეცხლსასროლი იარაღით გამოდიან!

ჩვენ კი, რიგით მოქალაქეებს, ისღა გვრჩება, რომ დაველოდოთ იმ „მხარდაჭერის“ შედეგებს და კიდევ უფრო მეტ სიცხეს.



**გია გაბრიჭიძე**

# მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი



## დიმიტრი წვერავა – 90

გამოჩენილ მეცნიერს, მკურნალსა და პედაგოგს, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **დიმიტრი წვერავას** 31 ივლისს 90 წელი უსრულდება.

ახალგაზრდობაში წარმატებულმა ცხენოსანმა, მოგვიანებით კი მკურნალმა ექიმმა დიმიტრი წვერავამ, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სპორტის მედიცინისა და რეაბილიტაციის განვითარებას მიუძღვნა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ „ცხენისა და მხედრის“ მოდელის სამეცნიერო საფუძვლების შექმნა. XX საუკუნის 70-იან წლებში, მეცნიერული კონტაქტები ევროპისა და ამერიკის წამყვან ქვეყნებთან არ არსებობდა. ამდენად, ბატონი დიმიტროს კვლევები სრულიად ახალი და ორიგინალური იყო; ამიტომაც იგი თავისუფალია რომელიმე წამყვანი ქვეყნის მეცნიერების ზეგავლენისაგან. სწორედ ამ პერიოდში დაებადა მას აზრი ცხენოსნობის სამკურნალო დანიშნულებით გამოყენების შესახებ. მოგვიანებით ხელმისაწვდომი გახდა ლიტერატურის მოპოვება უცხოეთიდანაც, რამაც, ალბათ, კიდევ ერთხელ დაარწმუნა ბატონი დიტო წვერავა მისი აზრების სისწორეში. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მან შექმნა „რაიტთერაპიის ქართული სკოლა“. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა რაიტთერაპიის სპეციალისტები – ექიმები და ფიზიოთერაპისტები (რეაბილიტოლოგები). მან, თავის გუნდთან ერთად შეიმუშავა სამკურნალო ცხენოსნობის (იპოთერაპიის, იგივე რაიტთერაპიის) მეცნიერული საფუძვლები. ჩატარებულმა კვლევებმა ხელი შეუწყო იპოთერაპიის დანერგვას სხვადასხვა ნოზოლოგიის დროს; დაცული იქნა რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. აღნიშნულმა კვლევებმა სახელი გაუთქვა რაიტთერაპიის ქართულ სკოლას მსოფლიოში. პროფესორ დიმიტრი წვერავას ძალისხმევით საქართველოში შეიქმნა რაიტთერაპიის ეროვნული ასოციაცია, რომელიც 1998 წლიდან გაერთიანდა იპოთერაპიის მსოფლიო ორგანიზაციაში (ამჟამად HETI). 2000 წელს პროფესორი დიმიტრი წვერავა არჩეული იქნა იპოთერაპიის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად. 2012 წელს, დ.წვერავას რედაქტორობით გამოიცა მონოგრაფია „იპოთერაპია – რაიტთერაპია“ ქართულ და რუსულ ენებზე.

ბატონი დიმიტრი დღესაც განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას. მას უკვე მზადა აქვს გამოსაცემად წიგნი – იპოთერაპიის დანიშნულება ჰიპერაქტიური ბავშვების ქცევის კორექციაში.

გარდა მისი მეცნიერული მოღვაწეობისა, საყოველთაოდ ცნობილია ბატონი დიმიტრის სიკეთე და ხელგაშლილობა, დახმარებისა და თანადგომის უნარი. სწორედ ამიტომაა, რომ იგი ყველას უყვარს და პატივს სცემს.

ბატონი დიმიტრი დიდი ერუდიციის მქონე ადამიანია. იგი სიღრმისეულად ფლობს ისტორიას, ლიტერატურას, რელიგიას და ხელოვნებას. მას ხატვის დიდი ნიჭიც აქვს. ხატვა მისი ცხოვრების განსაკუთრებული მხარეა. მაღალი შეფასება დაიმსახურა მისი ნამუშევრების გამოფენამ სპეციალიტების მხრიდან.

ამჟამად წარმატებით ფუნქციონირებს დიმიტრი წვერავას სახელობის სამკურნალო ცენტრი „რაიდმედი“, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქ წარმატებით გადიან რეაბილიტაციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

ხანგრძლივ ჯანმრთელ და ბედნიერ ცხოვრებას ვუსურვებთ ამ ღვთის მიერ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს მისი ოჯახის, მეგობრების, აღზრდილებისა და მრავალრიცხოვანი პაციენტების გასახარად.

**პროფ. ბურამ ბექაია,**
**მოწაფეები და მეგობრები**

## „სამკუთხედს“ ქობულეთში ახალი გზა გაჰყავს

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსთან არჩილ ჩიქოვანთან და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად ქობულეთის მუნიციპალიტეტში ცეცხლაური-ჯიხანჯურის საავტომობილო გზის მონაკვეთზე ასფალტობეტონის საფარის სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.**

ასფალტის საფარი 3 კილომეტრამდე მონაკვეთზე დაიგო, გარდა ამისა, ცეცხლაური-ჯიხანჯურის მიმართულებით ამ ეტაპზე მოწყობილია 1444 გრძ.მ. ბეტონის არხი, ასევე 52 გრ.მეტრის საყრდენი კედლები. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს. „სამკუთხედი“ ასრულებს და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 1 098 878 ლარს შეადგენს.

აჭარის ა/რ საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის 2017 წლის ბიუჯეტით ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჯამში 35, 254 კმ ასფალტობეტონის საფარი, ასევე 21,000 კმ. ბეტონის საფარის მოწყობაა გათვალისწინებული. გარდა ამისა, დაგეგმილია 5 ახალი ხიდის მშენებლობა და 2 არსებული ხიდის რეაბილიტაცია, 44 ერთეული ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-მოწყობა. სულ ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის 13 335 901 მილიონ ლარამდე დაიხარჯება.



მთავრობის თავმჯდომარე საგზაო ინფრასტრუქტურის დათვალიერების შემდეგ ჯიხანჯურის ცენტრში შეკრებულ მოსახლეობას შეხვდა. ზურაბ პატარაძემ მათ უკვე განხორციელებულ პროექტებზე ესაუბრა, რომელიც გასულ წელს ცეცხლაური-ჯიხანჯურის მოსახლეობის მოთხოვნით დაიგეგმა. მისი თქმით, ინტენსიურად მიმდინარეობს ცენტრალური გაზსადენი მილების გაყვანა, შემდეგ ეტაპზე კი მოხდება სოფლების დაქსელვა.

## ლიკანის ყოფილი სამთავრობო რეზიდენცია განახლდება

**„საპარტნიორო ფონდი“ ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის – ლიკანის კომპლექსის, ე.წ. „რომანოვების რეზიდენციის“ რეაბილიტაციისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოებს იწყებს.**

ამ ეტაპზე რომანოვების სასახლის, ორანჟერიისა და საკონფერენციო დარბაზის, აგრეთვე, პარკისა და ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის რეაბილიტაციის პროექტირება მოხდება. ამასთანავე, ჩატარდება სასახლის მუზეომოგრაფიული კვლევა და შეიქმნება მთლიანი კომპლექსის გენერალური გეგმა.



აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად 771,000 ლარი დაიხარჯება. საპროექტო სამუშაოების ხანგრძლივობაა რვა თვე. პროექტირების დასრულებისთანავე დაიგეგმება სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაობის დაწყება. მთავრობის გადაწყვეტილებით, „ლიკანის პარკს“ ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი გასულ კვირას მიენიჭა.

## ეკა ხოფერია მაყურებელს დაემშვიდობა

ტელეკომპანია „იმედზე“ ეკა ხოფერიას გადაცემა დაიხურა. ამის შესახებ გადაცემის წამყვანი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

**„ყველაზე მეტად არ მიყვარს დამშვიდობება !**

**წინ ახალი ეტაპია, ახალი გამოწვევები, ახალი გეგმები!**

**ძალიან დიდი მადლობა ჩემს გუნდს, ვინც ქმნიდა ამ გადაცემას. მადლობა ყველა სტუმარს, ვინც ყოფილა „ეკა ხოფერიას თოქ-შოუს“ გმირი, თქვენ ყოველთვის მენდობოდით და მაკეთებინებდით გადაცემებს ჩემებურად)**



**ჰოდა, კიდევ უფრო დიდი მადლობა მაყურებელს. არ ვიცი, როგორ გამოვიდა და რატომ, მაგრამ მართლა სულ ვგრძნობდი თქვენს დამოკიდებულებას, სიყვარულს და ნდობას. ძალიან მაგრები ხართ და მაგრადაც მიყვარხართ. მე სულ მგონია, რომ ერთადერთი, რაც ნამდვილად მაქვს ჟურნალისტიკაში, ეს ჟურნალისტური ინტუიციაა. ყოველთვის ვგრძნობ და თითქოს ვიცი, როდის უნდა დამთავრდეს ერთი კონკრეტული ეტაპი, ერთი კონკრეტული და არა ჟურნალისტიკა. ეს უკანასკნელი ჩემი ცხოვრებაა და მის გარეშე მე არ ვარ ეკა.**

**„ეკა ხოფერიას თოქ-შოუ“ დამთავრდა, იწყება რაღაც ახალი!**

**მიყვარხართ, მადლობა და შეხვედრამდე. ეკა ხოფერია, ჟურნალისტი. 27 ივლისი, 2017“** – წერს ხოფერია.

◉ სამხედრო საქმე

## მართლაც სამაგიდო წიგნი

**25 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“.**

პრეზენტაცია გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბატონმა ლევან იზორიამ. სიტყვით გამოვიდნენ წიგნის მთავარი რედაქტორი ელგუჯა მეძმარიაშვილი (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, თადარიგის გენერალ-მაიორი), მანანა მიქაბერიძე (შ. რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი), თენგიზ შუბლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი), არჩილ ფრანგიშვილი (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი), დავით თევზაძე (ფილოსოფიის დოქტორი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი).

გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს რომ ამ წიგნის გამოცემა არის მნიშვნელოვანი მოვლენა, ვინაიდან ქვეყანაში ამ ტიპის ნაშრომი ჯერ არ შესრულებულა. მასში გამოტანილი ცნებები თავსებადია იმ ტერმინებისა, რომელიც გამოიყენება, როგორც NATO-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში, ისე სხვა ქვეყნების, მ.შ. საქართველოს შეიარაღებულ ძალებშიც.

ენციკლოპედიურ ლექსიკონში თავმოყრილი და სისტემატიზებულია ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო მშენებლობის, სამხედრო პერსონალიების, სამხედრო ხელოვნების, სამხედრო ისტორიისა და გეოგრაფიის, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო განათლების საკითხებთან. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტატიებს ომისა და მშვიდობის, სახელმწიფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების პრობლემების, თეორიისა და სამხედრო-პოლიტიკური პრაქტიკის, სამხედრო ეკონომიკის და სხვა სოციალური მეცნიერების ასპექტებს.




გამომსვლელებმა მადლობა გადაუხადეს სარედაქციო კოლეგიის წევრებს 12-წლიანი ნაყოფიერი მუშაობისთვის და გამოთქვეს იმედი, რომ ეს ნაშრომი იქცევა სამაგიდო წიგნად სამხედრო მოსამსახურეებისთვის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა და ექსპერტებისთვის, ფართო საზოგადოებისთვის.

ნაშრომის პოპულარიზაციისა და მკითხველისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სარედაქციო კოლეგიას შორის, ამ მასალის ციფრულ ფორმატში აკრეფის შესახებ.

**გიგი ომიაძე**

მართლაც შეუდარებელი

# საფეხბურთო ტალანტი

## ვლადიმერ ბარქაია – 80 წლის ახალგაზრდა



**თბილისის „დინამოს“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას სანახავად ათასობით მაყურებელი დადიოდა არამარტო საქართველოს, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქის სტადიონებზე.**

ვ. ბარქაია იშვიათი და ნათელი ტაქტიკური აზროვნების მქონე ფეხბურთელი გახლდათ, შეტევის შესანიშნავი ორგანიზატორი, გუნდის დისპეტჩერი, ანუ როგორც ახლა უწოდებენ პლეიმეიკერი. ჰქონდა მოედნის იდეალური ხედვა, შეეძლო ბრწყინვალედ ეთამაშა და თანაგუნდელებიც აეყოლიებინა. პარტნიორის თამაშის გამახვილებული შეგრძნება და შესანიშნავი პასის უნარი შეხამებული ჰქონდა უმაღლეს ტექნიკასთან, რაც ძალზე საშიშ ძალად აქცევდა მას როგორც გუნდურ, ისე ინდივიდუალურ თამაშში.

ვლადიმერ ბარქაია დაიბადა საქართველოს განუყოფელი ნაწილის აფხაზეთის ულამაზეს ქალაქ გაგრაში, სადაც უყვარდათ მზე, ზღვა და ფეხბურთი. ამ სახეობისადმი გაგრელთა დამოკიდებულება განსაკუთრებული იყო. იქნებ იმიტომაც, რომ ამ ზღვისპირა ქალაქს ფეხბურთის უმდიდრესი ტრადიციები ჰქონდა. სიომას და მის მეგობრებს ბევრი რამ სმენიათ ფეხბურთელ „წინაპართა“ თამაშის შესახებ, რაც ფრიად მნიშვნელოვანი იყო ბავშვური გატაცებისთვის.

ვ. ბარქაიას და მის თანატოლებს არასდროს ჰქონიათ ნამდვილი ბურთი. ეს მათი ოცნება იყო. ჩვეულებრივი ჩოგბურთის ძველი ბურთითაც იოლად გადიოდნენ ფონს, ფეხშიშველებიც კარგად თამაშობდნენ და დიდ ფეხბურთზეც ერთად ოცნებობდნენ.

ვლადიმერს დღესაც კარგად ახსოვს პირველი ოფიციალური შეხვედრა. 14 წლისა იყო, მაგრამ დიდი პატივი დასდეს და უფროსებთან ერთად გაგრის ნაკრებში ათამაშეს. ეს იყო მატჩი აფხაზეთის ერთ-ერთ ძლიერ გუნდთან – სოხუმის „დინამოსთან“. სიომა ღელავდა. მის გამოუცდელობას ემატებოდა სიმორცხვე და მოკრძალება, რაც ასე ბუნებრივია ნამდვილ ფეხბურთში ახალბედასთვის.

პირველი აღმზრდელი ყველას ახსოვს. სიომაც ტკბილად იგონებს თავის პირველ მწვრთნელს – ვიქტორ კობელიანსკის. თუმცა იგი პროფესიონალი არ ყოფილა, მაგრამ ფეხბურთი თავდავიწყებით უყვარდა და თავის ცოდნას უდიდესი ენთუზიაზმით გადასცემდა. ვ. ბარქაიას საფეხბურთო დაოსტატებაში დიდი როლი შეასრულა გაგრის სპორტსკოლის გუნდში გადაყვანამ. ეს იყო იმ დროისთვის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო სკოლა, რომელიც ბევრ ნიჭიერ სპორტსმენს ზრდიდა.

ვ. ბარქაია ისევ მიიწვიეს გაგრის ნაკრებში. მას ხომ მოემატა საკუთარი ძალის რწმენაც, გრძნობდა, ფსიქოლოგიურადაც მზად იყო უფროსების გუნდში სათამაშოდ. მაშინ გაგრის „ბურევესტნიკის“ მწვრთნელი გახლდათ რეზო შარტავა, დაკვირვებული, მკაცრი, თანაც სამართლიანი აღმზრდელი, რომლისაც სჯეროდათ ფეხბურთელებს. ნიჭიერმა თაობამ მოიყარა თავი, აფხაზეთის ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავეს და საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფში გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

1956 წლის გაზაფხულზე შავი ზღვის სანაპიროზე საწვრთნელ შეკრებაზე ჩამოსულ კიევის დინამოელთა მაშინდელ უფროს მწვრთნელს ოლეგ ოშენკოვს ისე მოსწონებია ნიჭიერი გაგრელი მეათეკლასელი ფეხბურთელი, რომ სწვევია ბარქაიების ოჯახს და ვაჟიშვილის კიევში წაყვანა შეუთავაზებია. თითქოს შეთანხმდნენ კიდეც – სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, სულ რაღაც სამ თვეში სიომა უკრაინის დედაქალაქში უნდა გამგზავრებულიყო.

ანალოგიური ვიზიტით ეწვია ბარქაიების სტუმართმოყვარე ოჯახს ერევნის „სპარტაკის“ თავკაცი აბრამ დანგულოვი. საბედნიეროდ, დიდმა ანდრო ჟორდანიამ ორივეს დაასწრო.

1956 წელს სოხუმსა და გაგრაში ნიჭიერ ფეხბურთელთა შესარჩევი ტრადიციული შეხვედრები გაიმართა. სელექციონერთა ჯგუფს თვით ანდრო ჟორდანია თავკაცობდა. მას დანახვისთანავე ისე მოსწონებია გაგრელ ფეხბურთელთა გუნდი, რომ მათი არცერთი თამაში არ გაუცდენია. განსაკუთრებით მოეწონა ვ. ბარქაია და აიყვანა კიდეც საქართველოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის ნაკრებში. ეს გუნდი საკავშირო ტურნირისათვის ემზადებოდა. მოსწავლეთა ნაკრებში ვლადიმერთან ერთად თამაშობდნენ ანზორ კვაჭაძე, რობერტ ჭანჭალეიშვილი, გარი სორდია, ანატოლი ივანოვი. გუნდის კაპიტნად აირჩიეს ზურაბ სოტკილავა – საოპერო სცენის მომავალი მშვენება.

ჩვენმა გუნდმა ძლიერად ჩაატარა ტურნირი მაშინდელ ლენინგრადში, ფინალში 2:0 მოუგო უკრაინის ნაკრებს და ჩემპიონის წოდებით დაბრუნდა სამშობლოში.

1956 წელსვე ბარქაია დიღმის ბაზაზე დასახლდა. თავიდანვე იქაურობას ვერ შეეჩვია. მოუწია კატლეტით, მჟავე კიტრიანი „სალიანკით“ კვება. თანაგუნდელები, რომელთა უმრავლესობა თბილისელები იყვნენ, სადილად სახლში მიდიოდნენ, მას კი ენატრებოდა უსაყვარლესი ბებიის, ზინა ქორქიას მომზადებული სადილი – ხარჩო, ღომი, თევზეული, თუმცა – ყველაფერს უძლებდა, რადგანაც გულით უნდოდა ეთამაშა თბილისელთა სახელგანთქმულ გუნდში.

„დინამოს“ მაშინდელმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ ნდობა გამოუცხადა და მცირეოდენი ხნის შემდეგ პირველად ჩააცვა გუნდის მაისური. სიომა საკუთარ თავს არ უჯერებდა - ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა. მართალია, სეზონი კარგა ხნის დამთავრებული იყო, მოსკოვის „ტორპედოსთან“ თამაშიც ამხანაგური, მაგრამ „დინამო“ „დინამოა!“...

მისი პარტნიორები იყვნენ ანდრო ზაზროევი და ავთანდილ ჭკუასელი. პირველ ტაიმში სიომამ ზაზროევთან გაითამაშა კომბინაცია და ბურთიც გაიტანა. მის სიხარულს, რომელსაც თან ერთვოდა გაოცება, საზღვარი არ ჰქონდა.

1957 წლის სეზონი ვ. ბარქაიასთვის მთლიანად დაკარგული არ გამოდგა. ათჯერ ჩაიცვა ძირითადი გუნდის მოთამაშის მაისური. სსრკ პირველობაზე თავისი პირველი ბურთი მოსკოვში ადგილობრივ „დინამოს“ გაუტანა.

ვ. ბარქაიამ 1959 წლის საფეხბურთო სეზონში სრულიად მოულოდნელად გაიბრწყინა. მან თექვსმეტ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ექვსი გოლი გაიტანა. თითოეული გატანილი ბურთი იმსახურებს გახსენებას, რადგანაც ეს ჩვენი „დინამოს“ ერთობ პრინციპულ შეხვედრებში მოხდა. 25 ივლისს ჩვენ გვქონდა ბედნიერება მოსკოვში დავსწრებოდით თბილისელთა შეხვედრას ადგილობრივ „სპარტაკთან“. იმ დღეს სიომას პერსონალურად მეურვეობდა საფეხბურთო ზენიტში მყოფი გამორჩეული რუსი ფეხბურთელი, სსრკ ნაკრების კაპიტანი იგორ ნეტო. თუმცა იგი ვერაფერს გახდა ჩვენს თავდამსხმელთან, რომელმაც ერთ-ერთი დაუვიწყარი შეხვედრა ჩაატარა თავისი სახელოვანი სპორტული კარიერის მანძილზე. როდესაც „დინამო“ 1:3 აგებდა, სიომამ მართლაც აიწყვიტა, ზედიზედ სამი ბურთი გაიტანა და დააწინაურა თავისიანები. თამაში, რომელიც საბოლოოდ 5:4 დამთავრდა ქართველ სპორტსმენთა გამარჯვებით, სეზონის ყველაზე წარმატებულ შეხვედრად იქნა აღიარებული.

11 ოქტომბერს თბილისელებმა მოსკოვში დაამარცხეს ყველაზე უხერხული მოწინააღმდეგე - ადგილობრივი თანაკლუბელები 2:1 და ორივე ბურთის ავტორი ვლადიმერ ბარქაია გახლდათ.

მოსკოვში ჩატარებული ამ შეხვედრის შემდეგ ვ. ბარქაიას ლექსი უძღვნეს:

**„მინდორზე მისთვის როდი ვარ**
**ვკრეფდე ვარდსა და იასა,**
**მოსკოვის გმირი მოვდივარ,**
**დამიხვდით ბარქაიასა.**
**ბურთს გავიგორებ, დავახვევ,**
**ადგილს შევურჩევ რბილასა,**
**ისეთს დავარტყამ, მეკარე**
**მიწვეს და მიიძინოსა“.**

ვ. ბარქაია თანდათან იქცა გუნდის წამყვან ფეხბურთელად და ჩვენი თაობის გულშემატკივრებს სულ გვიკვირდა, თუ რატომ არ იწვევდნენ მას საბჭოთა ნაკრებში. სამოციანი წლების დასაწყისში სსრკ ნაკრებმა მოსამზადებელი პერიოდი თბილისში გაიარა. თავისუფალ დროს სპორტსმენები სხვადასხვა ორგანიზაციებში მართავდნენ შეხვედრებს. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას ნაკრების უფროს მწვრთნელს გავრილ კაჩალინს ჰკითხეს, თუ რატომ არ იწვევს ბარქაიას ნაკრებში. მან ასე უპასუხა: „პირველ რიგში იგი ფიზიკურად სუსტია და მთელი ძალით არ შეუძლია ითამაშოს ორივე ტაიმი, მეორე რიგში, იგი მორალურად არამდგრადია“. ასეთი პასუხის გაგონებაზე დარბაზიდან ვიღაცას წამოუძახია: „მაშინ ნაკრებში ჩვენი რაიკომის მდივანი აიყვანეთ, იგი პოლიტიკურად მომზადებული და მორალურადაც მდგრადიაო“.

მოგვიანებით გ. კაჩალინმა ასე დაახასიათა „მორალურად არამყარი“ ვ. ბარქაია: „ეს არის მწვავე კომბინაციური სტილის, მახვილი ინტუიციის, ფართო ჰორიზონტის მოთამაშე, ყოველი სპორტსმენისათვის კარგი პარტნიორი. მისი ტექნიკური აღჭურვილობა საკმაოდ დიდია. იერიშში იგი აქტიურად და ენერგიულად მოქმედებს“.

1962 წლის 15 ივნისს დღევანდელ „მიხეილ მესხზე“ თბილისელებმა მოსკოვის „სპარტაკს“ უმასპინძლეს. ჩვეულ, მარჯვენა შუამარბის ადგილზე ვლადიმერ ბარქაიას კომბინაციური ალღო და ინდივიდუალური თამაშის ხიბლი საგრძნობლად დაეტყო გუნდს: გადაცემებს მიეცა საჭირო სიზუსტე, ურთიერთობა ფლანგსა და ცენტრს შორის შესამჩნევად მოწესრიგდა.

ანგარიში თამაშის დასაწყისში გახსნა ბარქაიამ. მან რთულ ვითარებაში მიიღო ბურთი, ოსტატურად დაამუშავა და ზუსტად გაგზავნა ბადეში. ეს იყო საიუბილეო, მეათასე ბურთი, რომელიც თბილისის „დინამომ“ გაიტანა სსრკ პირველობების შეხვედრებში.

ერთი თამაში გვსურს გავიხსენოთ, რომელსაც ერთობ უჩვეულო გაგრძელება მოჰყვა. 1962 წლის შემოდგომაზე თბილისელები მოსკოველ თანაკლუბელებს მასპინძლობდნენ. პირველი ნახევარი მთავრდებოდა, როცა მოსკოველმა ნახევარმცველმა ვალერი მასლოვმა დაახლოებით ოცი მეტრიდან დაარტყა და სერგო კოტრიკაძემ დასანანი ბურთი გაუშვა. მეორე ნახევარში თბილისურმა ვულკანმა ამოხეთქა. მთელი გუნდი შეტევაზე იყო, ხოლო ვლადიმერ ბარქაიამ გაიტანა შესანიშნავი გოლი, რომელზეც მხოლოდ შეიძლება იოცნებოს უმაღლესი კლასის ფორვარდმა. ზაურ კალოევმა მიიღო პასი ბარქაიასგან, თავით გადაუგდო ისევ სიომას, რომელმაც არ აცალა ბურთს მინდორზე დაშვება და შეუჩერებლივ გაგზავნა მეტოქის კარის ბადეში. ლევ იაშინი უძლური აღმოჩნდა მოეგერიებინა ყუმბარისებური დარტყმა.

ცოტა ხანში მაყურებლისთვის გაუგებარი რამ ხდება. თბილისელთა მთავარი მწვრთნელი მიხაილ იაკუშინი ვ. ბარქაიას ცვლის და მოედანზე თენგიზ მელაშვილი შემოჰყავს. სიომა მოედნიდან გადის და როგორც შემდეგ დღეებში გაირკვა, ამ ფაქტის გამო საერთოდ წავიდა გუნდიდან. მასზე ძებნა გამოცხადდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბოლოს ჭოპორტში, ბიჭიკო მანაგაძის სახლში მიაგნო მას ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულმა დათიკო კვარაცხელიამ და დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დააბრუნა დიღომში. დღესაც არ ვიცით, რა მოტივით შეცვალა მწვრთნელმა ის ფეხბურთელი, რომელმაც თვით ლეგენდარულ იაშინს გაუტანა ულამაზესი და თანაც საჭირო ბურთი. ვ. ბარქაიასთან ამ თემაზე არასდროს გვისაუბრია.

1964 წელს თბილისის „დინამო“ თავისი ისტორიის მანძილზე პირველად გახდა სსრკ ჩემპიონი. ვ. ბარქაია თავის ღირსეულ თანაკლუბელებთან ერთად ზეიმობდა ოქროს მედლის მოპოვებას. 1965 წელს იგი, როგორც იქნა „შეამჩნიეს“ და სსრკ ნაკრებში მიიწვიეს. სიომას დებიუტი დანიელებთან ბრწყინვალე გამოდგა. საბჭოთა ნაკრების მიერ გატანილი ექვსი ბურთიდან ორი ვლადიმერ ბარქაიას ანგარიშზე იყო.



ალფრედო დი სტეფანოსთან ერთად

1965 წლის 4 ივლისს მოსკოვში ისტორიული შეხვედრის მომსწრენი გავხდით. სსრკ ნაკრები ხვდებოდა მსოფლიო ჩემპიონს – ბრაზილიას. ამ დაუვიწყარ შეხვედრაში ხუთმა ქართველმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა (მ. მესხი, ს. მეტრეველი, ვ. ბარქაია, გ. სიჭინავა, ა. კავაზაშვილი). პელესა და გარინჩას გუნდმა საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარა მასპინძლებს და გაიმარჯვა 3:0. ის, რაც იმ დღეს ლუჟნიკში მოხდა,

თავისი მნიშვნელობითა და შინაარსითაც აღემატებოდა ყველაფერს, რაც მანამდე ყოფილა. ეს იყო თანამედროვე ფეხბურთი, ჭეშმარიტი აკადემია, რომელმაც ტრიბუნებზე მყოფთ თვალნათლივ აჩვენა არამარტო ბრაზილიელთა უზადო, ჩინებული, შეუდარებელი, პირდაპირ ვთქვათ, ჩვენთვის წარმოუდგენელი თამაში, არამედ ის უსაზღვრო და უმდიდრესი ფანტაზია, რომელიც ჩაქსოვილი იყო XX საუკუნის სამოციანი წლების ფეხბურთში. ჩვენ ვნახეთ, თურმე, როგორ შეიძლება ფეხბურთის თამაში.

პელეს მეურვეობა გიორგი სიჭინავას დაავალეს. ისიც ერთი ნაბიჯით არ შორდებოდა ფეხბურთის მეფეს. ვ. ბარქაიას ენაკვიმატობა ხომ საყოველთაოდაა ცნობილი. შეხვედრისას სიომა პატარა სიჭის ეუბნება: „გაჩერდი, რას დასდევ ამ პელეს, დადექი, უყურე და დატკბი მისი თამაშით!“

ამბობენ, თითქოს ვლადიმერ ბარქაიას ბრაზილიელებთან იმ შეხვედრის შემდეგ უთქვამს, მეგონა, ფეხბურთს ვთამაშობდიო. არადა, ფეხბურთში თუ ვინმე გამოირჩეოდა, ერთ-ერთი მათგანი უდავოდ ჩვენი წერილის გმირია.

1996 წლის 28 აგვისტოს მოსკოვში ამხანაგური შეხვედრა გამართეს ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებმა. ვიდრე ეს საინტერესო მატჩი ჩატარდებოდა, რუსეთის ფეხ-



გიგლა ფირცხალავას შარჟი

ბურთის კავშირმა სპეციალურად მოიწვია ის ფეხბურთელები, რომლებიც 1965 წელს ბრაზილიელებს შეხვდნენ. საქართველოდან საპატიო სტუმრებს შორის აღმოჩნდნენ ვლადიმერ ბარქაია და გიორგი სიჭინავა. ყველა მონაწილე საპატიო სტუმართა ლოჟაში რუსეთის პრემიერ-მინისტრის გვერდით განათავსეს. ერთმა ფოტოკორესპონდენტმა ვ. ბარქაიასა და გ. სიჭინავას ცალკე გადაუღო სურათი. გამოჩენილმა სპორტსმენმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკიტა სიმონიანმა, რომელსაც შარშან 90 წელი შეუსრულდა, მათ მიაძახა: „მეც თქვენთან ერთად უნდა ვიყო, გაგრელებო, მე ხომ ყოფილი სოხუმელი ვარ“.

მთავარი მოვლენები ბანკეტზე განვითარდა. მოსკოვიდან დაბრუნებული ვ. ბარქაია მოგვიყვა: „ნ. სიმონიანმა თამადად ანზორ კავაზაშვილი დანიშნა და დასძინა: თამადობა ქართველი კაცის საქმეაო. ანზორი ღირსეულად გაუძღვა ხალხთა ჭეშმარიტი მეგობრობის სუფრას, ბევრი რამ მოიგონეს, იოხუნჯეს კიდეც. იყო ცრემლნარევი სადღეგრძელო, რომელიც მიხეილ მესხისა და ვალერი ვორონინის სამარადისო ხსოვნას მიეძღვნა.

სუფრა ახალი დაწყებული იყო, როდესაც ვალენტინ ივანოვმა სიტყვა მოითხოვა. აბა უარს ვინ ეტყოდა ამ დიდ პიროვნებას. ყველანი სულგანაბულები ვუსმენდით, რას იტყოდა, მან კი ასეთი სიტყვები წარმოთქვა - მსურს საბჭოთა ფეხბურთის მარგალიტის — ქართული ფეხბურთის სადღეგრძელო შევსვა. ნ. სიმონიანმა ბანი მისცა: მეც ქართული ფეხბურთიდან ვარო!“

წუთისოფლის უკუღმართობამ თუ ჩვენმა ბედოვლათობამ სიომა ბარქაია მოსწყვიტა მშობლიურ აფხაზეთს, რასაც იგი ძალიან განიცდის.

ვლადიმერ ბარქაიას მადლობას ვუხდით იმ დიდი სიამოვნებისთვის, რაც მან, ქართული ფეხბურთის მშვენებამ, თავისი თამაშით მრავალგზის მოგვანიჭა. ჩვენს მოკრძალებულ წერილს კი ცნობილი რეჟისორის, ბრწყინვალე პიროვნების, ბატონ თემურ ჩხეიძის სიტყვებით დავასრულებთ: „სიომას არავის ვადარებ, ვიტყვი, რომ თავის ეპოქაში შეუდარებელი გახლდათ“.

**ვახტანგ ვეფხვაძე,**
**ალეკო ოღლიშვილი**

**◎ წინ, საქართველოვ!**

# მედლები მხოლოდ ტატამზე ცვივა

**უნგრულ დიორში გრძელდება ევროპის ახალგაზრდობის მე-14 ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც მედლებისთვის 50 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძვიან. მოასპარეზეთა შორისაა საქართველოს 33 სპორტსმენი. მათგან დღემდე მედლები მხოლოდ ძიუდოისტებმა მოიპოვეს. უკვე ვწერდით, რომ ჯილდოების ანგარიში 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბექა წიფიანმა გახსნა – ფინალური ორთაბრძოლა მან თურქ მიჰრას ალუსთან დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.**





ფესტივალზე ოქროს მედალი 66 კილოში გიორგი ჩიხელიძემ დაიმსახურა. დიორის ოლიმპიურ პარკში მან ზედიზედ სძლია ფინელ რუპ კორონენს, აზერბაიჯანელ ნიაზ მაჰმუდლუს, რუსეთის წარმომადგენელ კარენ გალსტიანს და ბელგიელ მალიკ უმაიევს (იპონით). გადამწყვეტ პაექრობაში ჩვენებურმა მოლდოველ პეტრუ პელივანის ჯერ ვაზარი აართვა, მერე შებოჭა და 3 წუთსა და 44 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა, რითაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მესამე ადგილები არტიომს გალაქტიონოვსმა (ლატვია) და კარენ გალსტიანმა დაიკავეს. ამ წონაში მედალოსნებს ჯილდოები ოლიმპიურმა ჩემპიონმა, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა გადასცა.

ასპარეზობის მესამე დღეს ქართველმა ძიუდოისტებმა საქართველოს სპორტული დელეგაციის ყულაბას კიდევ ორი მედალი შესძინეს: ფესტივალის ჩემპიონობა გოგონათა 63 კილოში მარიამ ჭანტურიამ მოიპოვა, ვაჟთა 81 კილოში კი „ბრინჯაო“ ვლადიმერ ახალკაცს ერგო. მარიამმა ფინალამდე სულ იპონებით აჯობა ლუსია გლუმაჩს (ხორვატეთი), იოანა კრისოსტიმოს (პორტუგალია), ლაურა ფაზიუს (კოსოვოს), გადამწყვეტ პაექრობაში ვაზარით მოუგო ანია ობრადოვიჩს (სერბეთი) და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილებზე ანჯელა სამარჯიჩი (ბოსნია-ჰერცეგოვინა) და ზარა ტავკარი (სლოვენია) გავიდნენ.

ახალკაცმა პირველ წრეში ვალერი კამკოუს (ბელარუსი) იპონით მოუგო, მაგრამ მეორეში, ასევე, წმინდად დამარცხდა მოლდოველ ეუგენ მატვეისიუსთან. დამამშიდებელში ჩვენებურმა ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან ფატიხ კოშა (თურქეთი), ჯანლუკა იოდესელი (იტალია), მარატ კრიჟანსკი (უკრაინა) და მესამე ადილი ხვდა. ასევე, მესამე იყო ეუგენი მატვეისიუსი, ხოლო პირველი-მეორე ადგილები, შესაბამისად, მანსურ ლორსანოვმა (რუსეთი) და ბენედეკ ტოტიმ (უნგრეთი) გაიყვეს.

**ლაშა დიდია**



# ღირსეული ნადავლი

**2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“, 2 „ბრინჯაო“ და გუნდური მეოთხე ადგილი — ასეთი შედეგით დაასრულა გამოსვლა ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა.**

უკვე გაუწყებთ, რომ ასპარეზობის სტარტზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ქუთაისელი გიორგი ჭოლაძე (42 კგ) ავიდა, ხოლო მესამე პრიზიორები ქობულეთელი თორნიკე ქათამაძე (58 კგ) და თბილისელი დავით ქოჩქიანი (85 კგ) გახდნენ.

ტურნირის დასკვნით დღეს პარტნიორთაგან ესტაფეტა გია კვინიკაძის კიდევ ორმა შეგირდმა — გორელმა გიორგი გეგელაშვილმა (46 კგ) და ამბროლაურელმა ვლადიმერ გამყრელიძემ (54 კგ) მიიღო, რომლებიც, შესაბამისად, კონტინენტის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი გახდნენ.

დავძენთ, რომ გეგელაშვილმა დრამატული ფინალური ბრძოლა რუსეთელ მაგომედ აბდურახმანოვს მოუგო — 5:2, ხოლო გამყრელიძე უკრაინელ ანდრეი ჟელეპთან დამარცხდა — 0:4.

**გუნდური:** რუსეთი — 89, აზერბაიჯანი — 61, თურქეთი — 60 ქულა.

**კობა კობახიძე**

**◎ თაობა**

# არის „ვერცხლი“!

**რუმინეთის ქალაქ ვალსეაში სკოლის მოსწავლეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართა კრივში.** მედლებისთვის ბრძოლაში რვა ქართველიც ჩაება, მაგრამ მათგან ჯილდო მხოლოდ ლაშა გაგნიძემ დაიმსახურა. 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან ზედიზედ დაამარცხა იტალიელი ანჯელო ბრუნო კონტი, ესტონელი ვადიმ კისტერკინი, მეოთხედფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე თენგიზ კოტოიანს აჯობა, ნახევარფინალში ბულგარელ დანჩო სტეფანოვს მოუგო, მაგრამ გადამწყვეტი ორთაბრძოლა ლაშამ სომეხ გორ მხითარიანთან დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.



**გივი გაგუა**

**◎ ინტერნეტიდან**



# ბარ რაფაელს უნეიმაროზა აშფოთებს

**წარმოშობით ებრაელი, ისე კი მსოფლიოს მოქალაქე, ცნობილი მოდელი ბარ რაფაელი, როგორც იცით, კატალონიის „ბარსელონას“ თავგადაკლული გულშემატკივარია და იმდენი გამარჯვება და სიხარული ჩვენ, რამდენიც ამ დაშხოშიან ქალბატონს „ბროწეულების“ გამო განუცდია.**

ცნობილ და ძალმოსილ კლუბებს მრავალი პოპულარული ასული რომ ქომაგობს, ეს საყოველთაო ამბავია და ბარ რაფაელიც კატალონიურ გუნდზე შეყვარებული ერთი რიგითი მოდელი იქნებოდა, მაგრამ ბარ რაფაელი რიგითი მოდელი რომ არაა? ფიცარნაგზე კოხტად გამვლელ ასულთა შორის ეს ქალი, ჰაი ჰაი რომ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ვინმეა და მის სიტყვებსაც ასი უზალთუნის ფასი ადევს.

აი, ამ ცოტა ხნის წინათ რაფაელის ქალს უთქვამს, ბრაზილიელი ნეიმარის წასვლით „ბარსელონას“ არამხოლოდ კარგი ფეხბურთელი დააკლდება, არამედ საერთაშორისო მაზანდაც დაუვარდება, რადგან ხალხს ვარსკვლავებგაყიდულ გუნდებზე გული ნაკლებად მისდისო. თვითონ რომ ყოველ წელს ერთი სამოდელო სახლიდან მეორეში დახტის — ეს ხომ კარგია?...

**როსტომ რაჭველიშვილი**



# ვიდრე დასავლეთი ფიქრობს...

# რუსეთი სამხედრო ძალის დემონსტრირებით იქცევს თავს

**სადემარკაციო ზოლის ლამის ყოველდღიურად გადმოწევის პარალელურად, რუსეთი კიდევ ერთ „სიურპრიზს“ გვთავაზობს – ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში, რუსეთის სამხედრო ბაზაზე განლაგებული დანაყოფები ფართომასშტაბიან წვრთნებს გადიან. რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხრეთ სამხედრო ოლქის პრესსამსახურის ინფორმაციით, სამხედრო წვრთნებში 16 ათასი სამხედრო და შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის 4 ათასი ერთეულია ჩართული.**

სამხედრო ოლქის პრესსამსახურის ინფორმაციით, სწავლებებში მონაწილე ოფიცრები შეისწავლიან დანაყოფების საომარი მზაობის გაუმჯობესების პერსპექტიულ მიმართულებებს ახალი დირექტივების გათვალისწინებით. პრაქტიკაში შეისწავლიან განგაშის შემთხვევაში სამხედრო მზადყოფნის ასპექტებს, ხოლო წვრთნის მიზანი ოპერატიულობის და ძალების ეფექტიანი გამოყენების ზრდაა.

შემოდგომაზე რუსეთი სამხედრო ძალების კიდევ უფრო ფართო დემონსტრირებას გეგმავს ბელარუსშიც – ბელარუსის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სპეციალური სწავლებების „დასავლეთი 2017“-ის მოსამზადებლად ბელარუსში რუსეთის დასავლეთის სამხედრო ოლქის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ქვედანაყოფები შედიან. რუსეთისა და ბელარუსის შეიარაღებული ძალების ერთობლივი სწავლება „დასავლეთი 2017“ სექტემბერში ჩატარდება.

როგორც ჩანს, რუსეთი შანსს არ უშვებს, პოსტსაბჭოთა სივრცეში მისი ჰეგემონობა რაც შეიძლება, მკვეთრად წარმოაჩინოს. ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში შეშფოთება გამოიწვია რუსეთის გეგმებმა მასშტაბურ სამხედრო წვრთნებთან დაკავშირებით ევროკავშირის საზღვრებთან. ნატოს წევრმა ქვეყნებმა რუსეთის შეკავების მიზნით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც ნატოს წევრები არიან, საჯარისო ნაწილები გადაისროლეს. ბალტიისპირეთის ქვეყნებში არაერთი სამხედრო წვრთნა ჩაატარეს.

რაც შეეხება საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას, რომელთა საგარეო ვექტორიც რუსეთის ინტერესებს არ ემთხვევა, ისღა დარჩენიათ, დასავლეთის ქმედით ღონისძიებებს დაელოდონ.

მხარდაჭერა თითქოს არის და იქნება კიდეც – საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერის არჩილ თალაკვაძის განცხადებით, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატა თანხმდება ახალ კანონპროექტზე, რომელიც საქართველოსა და უკრაინის მიმართ განხორციელებული აგრესიის გამო რუსეთს ახალ სანქციებს უწესებს.

თუმცა, ისიც ცნობილია, რომ სანქციების მიუხედავად, რუსეთი უკან დახევას სულაც არ აპირებს და პირიქით, ბოლო პერიოდია, საქართველოს საზღვრის გადმოწევით „იქცევს თავს“.

საქართველოს ხელისუფლება, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ არგალიზიანების პოლიტიკაც უშედეგოა და უკვე ცდილობს, დასავლეთს სულ უფრო ხშირად შეახსენოს თავი.

საქართველოს თემა გაჟღერდა ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაზეც – ეუთოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ მაკა ბოჭორიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებლობაზე და ეუთოს მომავალ თავმჯდომარეს მოუწოდა, არ დაიშუროს ძალისხმევა კონფლიქტის მოგვარების პროცესში ეუთო-ს როლის გასაძლიერებლად.

ბოჭორიშვილმა ასევე ვრცლად ისაუბრა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებზე, რაც უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს.

ასე, რომ საქართველოს შესახებ უკანასკნელი ცნობები მსოფლიოს აქვს, თუმცა როგორ შეცვლის ეს არსებულ ვითარებას, უცნობია.

კიდევ ერთი ნაბიჯი, რაც სიტუაციის მოწესრიგებისკენ იდგმება, ის შეხვედრებია, რომელიც რუსეთისგან დაზარალებულ ქვეყნებს შორის იმართება. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუასა და მოლდოვის რეინტეგრაციის საკითხებში ვიცე-პრემიერ-მინისტრს გიორგი ბალანს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ გაგრძელდეს მჭიდრო თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება კონფლიქტთან და სამშვიდობო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებში.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა გამოცდილების გაზიარება კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკის საკითხებზე. მხარეებმა ინფორმაცია გაცვალეს რუსეთის ფედერაციის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციისა და ანექსიის პოლიტიკის შედეგებზე, მათ შორის, ადგილზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით შექმნილ რთულ მდგომარეობაზე. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და საოკუპაციო ხაზის მავთულხლართებით გამაგრების უკანონო პროცესზე.

საუბარი შეეხო დნესტრისპირეთის რეგიონში არსებულ ვითარებას და მოლდოვის სამშვიდობო პოლიტიკას კონფლიქტის მოწესრიგების მიმართულებით.

როგორც ცნობილი ანალიტიკოსი და ბრიტანული ჟურნალის „ეკონომისტის“ რედაქტორი ედვარდ ლუკასი აცხადებს, მედიასთან საუბრისას, შესაძლოა, რუსეთი თავისი ბოლოდროინდელი ქმედებებით დასავლეთის სიმტკიცეს სცდის.

**„ვფიქრობ, რუსეთს ყველგან დასავლეთის სიმტკიცის გამოცდა სურს. ამას ვხედავთ სადემარკაციო ზოლზეც, სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ე.წ. საზღვარზე; ამას ვხედავთ უკრაინაში, ამას ვხედავთ ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც. რუსები დასავლეთის სიმტკიცეს ცდიან, რათა დაინახონ, რა გაუვათ, ასევე – რათა ახალი პრეცედენტები შექმნან და ახალი ვითარება ჩამოაყალიბონ. შესაძლებელია, რუსეთი დრამატულ სამხედრო ესკალაციას გეგმავდეს უკრაინაში, ან სადმე სხვაგან. ნიშნები შემაშფოთებელია, მაგრამ შესაძლოა, ეს მხოლოდ დაშინება იყოს“,** – მიიჩნევს ლუკასი.

**მარიამ თოდაძე**



# პოლ ქრეგო: აშშ-ის ბიუჯეტის შეკვეცამ შესაძლოა, საქართველოზე ცუდად იმოქმედოს

**ამერიკის ადმინისტრაციამ კონგრესს ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა, რომელიც კონგრესმა პირველ ოქტომბრამდე უნდა განიხილოს და მიიღოს. პროექტის თანახმად, მნიშვნელოვნად იზრდება ამერიკის თავდაცვისთვის გამოყოფილი თანხები და დრამატულად მცირდება სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუჯეტი, რაშიც საერთაშორისო დახმარებების სააგენტოებიც შედის.**

**მიიღებს თუ არა კონგრესი ამ კანონპროექტს და როგორ შეიძლება აისახოს ეს ბიუჯეტი საქართველოსთვის გამოყოფილ დახმარებაზე? ამ თემებზე კონგრესის ბიბლიოთეკის მკვლევარს, დოქტორ პოლ ქრეგოს ვესაუბრეთ, რომელიც საქართველოს 1970-იანი წლებიდან სწავლობს.**

**– წელს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში ზოგიერთი სააგენტოს დაფინანსება მნიშვნელოვნადაა შემცირებული. სახელმწიფო დეპარტამენტს, მაგალითად, დაახლოებით 30 პროცენტით უმცირდება ბიუჯეტი. რას ფიქრობთ ამაზე?**

– ჩვენი საუბრის კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს ბუჯეტი სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებას დრამატულად კვეცავს. ის საგარეო დახმარებების პროგრამების დაფინანსებას, მსოფლიოს მასშტაბით 20-30-40%-ით შემცირებას ითვალისწინებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი პროგრამა, რომელიც ამ თანხებზეა დამოკიდებული, ან დაიხურება, ან მათ დაფინანსების სხვა წყაროები უნდა იპოვონ.

**– თქვენ საქართველოს დიდი ხანია სწავლობთ...**

– დიახ! საქართველოს შესწავლა 40 წლის წინათ დავიწყე.

**– ბიუჯეტის დამტკიცების შემთხვევაში, რა შედეგს მოიტანს ის საქართველოსთვის?**

– 2016 და 2018 წლის ბიუჯეტები რომ შევადაროთ, რაშიც სამხედრო დახმარება არ შედის...

**– სამხედრო დახმარების თანხა, ალბათ, თავდაცვის დეპარტამენტის ბიუჯეტიდან გამოვა და არა სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუჯეტიდან...**

– დიახ, სამწუხაროდ, სამხედრო დახმარება საქართველოს ეკონომიკის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. როცა ქვეყანას სამხედრო დახმარებას ვაძლევთ, ეს თანხები ამერიკულ კონტრაქტორებთან უნდა დაიხარჯოს. 2016 წელს არასამხედრო დახმარება 450 მილიონი იყო. 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში კი ეს თანხა 34 მილიონია. გასაკვირია ის, რომ სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონს ამ დრომდე არ გამოუთქვამს წინააღმდეგობა მისი სააგენტოსთვის ბიუჯეტის ასეთ შემცირებაზე. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ის საკუთარ დეპარტამენტს არ იცავს.

იმის ერთი მაგალითი რომ მოვიყვანო, თუ როგორ იხარჯება USAID-ის ფული, გეტყვით, რომ თელავში, არის პროგრამა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს ტექნიკურ განათლებას აწვდის. არ მგონია, USAID დიდ თანხას ხარჯავდეს ამ პროგრამაში, მაგრამ მცირედი დახმარების მოკლებაც კი მასზე დიდ უარყოფით გავლენას იქონიებს.

**– ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი თვის ბოლოს საქართველოში ჩავა..**

– მოკლე ვიზიტით.

**– დიახ, ვიზიტი მოკლეა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი. თქვენი აზრით, რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს საქართველოს ამ ვიზიტიდან?**

– გამომდინარე იქიდან, რომ ის თბილისში ნატოს პროგრამის ფარგლებში ჩადის, უნდა დავასკვნათ, რომ მთავარი აქცენტი სამხედრო თანამშრომლობაზე გაკეთდება. ის საქართველოზე ბევრ კარგ რამეს იტყვის და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს და პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს შეხვდება. იმედი მაქვს, რომ ქართველები მას ამ თანხებზე დაელაპარაკებიან და ჰკითხავენ, თუ რას ნიშნავს ასეთი შეკვეცა. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მას შემდეგ, რაც ბიუჯეტის განხილვაში კონგრესში საქართველოს მეგობრები ჩაერევიან, ეს თანხა, სავარაუდოდ, გაიზრდება. ბიუჯეტის საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის. ჩვენმა თავდაცვის მდივანმაც კი თქვა, რომ საერთაშორისო დახმარების შემცირება თავდაცვის ხარჯების გაზრდას გამოიწვევს იმიტომ, რომ დიპლომატიის და ხალხთაშორისი ურთიერთობების დასუსტება სამხედრო ძალებს პრობლემებს შეუქმნის.

**– ვიცე-პრეზიდენტთან ბიუჯეტზე საუბარი რამდენად გამართლებული იქნება ასეთი მაღალი დონის ვიზიტის დროს?**

– ჩვეულებრივ არა. მაგრამ როცა კამერები და ჟურნალისტები გავლენ, მაშინ შეიძლება რაღაცის თქმა. საბედნიეროდ, საქართველოს ლიდერებმა ინგლისური ყველამ იცის და იმედი მაქვს, ვინმე ჰკითხავს ვიცე-პრეზიდენტს, თუ რატომ იკვეცება ბიუჯეტი ასე დრამატულად. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ დაბალ დონეზე ამ თემაზე საუბარი მიმდინარეობს. ჩვენი კანონმდებლები საქართველოში ხშირად ჩადიან და ორ ქვეყანას შორის დიალოგი უწყვეტად ხორციელდება.

## შეთანხმდნენ დაუყოვნებლივ გასატარებელი ზომების შესახებ

გერმანიის მთავრობის განცხადებით, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი და უკრაინა შეთანხმდნენ დაუყოვნებლივ გასატარებელი ზომების შესახებ, რათა მოხდეს აღმოსავლეთ უკრაინაში 2015 წელს მიღწეული ზავის პირობების განხორციელება. გერმანიის მთავრობამ 24 ივლისს გვიან გაავრცელა ცნობა, რომ ე.წ. „ნორმანდიის ჯგუფი“ შეთანხმდა, დაუყოვნებლივ შეწყდეს ცეცხლის შეწყვეტის პირობების დარღვევა აღმოსავლეთ უკრაინაში, სადაც უკრაინის მთავრობის ჯარი ებრძვის რუსეთის მხარდაჭერით მოქმედ სეპარატისტებს. ორსაათიანი სატელეფონო საუბრის შედეგად, ოთხი ქვეყნის ლიდერები შეთანხმდნენ, რომ პრიორიტეტს წარმოადგენს უკრაინის არმიისა და სეპარატისტთა ჯარის ერთმანეთისგან დაშორება და რეგიონიდან მძიმე შეიარაღების გატანა.

## რომის შადრევნები გვალვის გამო პირველად დაიკეტა

გვალვისა და ქვეყანაში წყლის რესურსების დაზოგვის გამო, რომის პაპმა ვატიკანში 100 შადრევნის დაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო. მათ შორის ორი ბაროკოს ღირსშესანიშნაობას მიეკუთვნება. ვატიკანის ოფიციალური წარმომადგენლის გრეგ ბურკეს თქმით, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც იძულებულები გახდნენ, შადრევნები დაეკეტათ. „ეს არის ერთ-ერთი გზა, რომლითაც ვატიკანი სოლიდარობას უცხადებს რომის მოსახლეობას კრიზისის დაძლევაში“ – განაცხადა ბურკემ. რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ სიცხეების გამო, რომის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სასმელი წყლის გარეშე დარჩენა ემუქრება.

◎ რამდენი კაცი დაარღვევს კანონს?

# საქართველოდან უცხოეთში ძირითადად ჩინოვნიკები და მათი მხარდამჭერები მიემგზავრებიან!

**შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმით საქართველოს 45 ათასმა მოქალაქემ ისარგებლა. საზღვრიდან დაბრუნებულთა რიცხვი კი 150-ს არ აღემატება.**

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შესვლაზე უარი საქართველოს 146 მოქალაქეს ეთქვა. საუბარია სამთვიან პერიოდზე, ანუ მიმდინარე წლის 28 მარტიდან 2 ივლისამდე არსებულ მონაცემებზე. შსს-ში ვერ აკონკრეტებენ, რამდენი ადამიანი დაბრუნდა საქართველოში ევროკავშირთან უვიზო რეჟიმით სარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ.

შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის 90-დღიანი ვადის მასობრივი დარღვევა არ მომხდარა.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ჩვენთან საუბარში განმარტავს, რომ შენგენის ზონის ქვეყნებში გამგზავრებული 45 ათასი ადამიანის ფონზე სულ რაღაც 150-მდე ადამიანის უკან გამობრუნება არაფერია. თუმცა რეალურად თუ ვიმსჯელებთ, 3-მილიონიან ქვეყანაში ეს 45 ათასი არ არის მცირე ციფრი. პოლიტოლოგის თქმით, საინტერესოა, წინა წლებში ევროპაში წასვლის მსურველი რამდენი იყო და დინამიკა როგორია?!



**„არა მგონია, წინა წლებში მხოლოდ 10-15 ათასს მოენდომებინოს ევროპაში ჩასვლა და ახლა ეს მონაცემები 3-4-ჯერ გაზრდილიყოს. უბრალოდ, ეს სამთვიანი ციკლი ემთხვევა შვებულებისა და ტურისტულ სეზონს. გაზაფხულსა და ზაფხულში ბევრი ადამიანი აწყდება ევროპას. სექტემბრიდან კი ტურისტთა რაოდენობა შემცირდება. თუმცა საინტერესოა, ვინ და რატომ მიდის უცხოეთში? აქ საჭიროა დეფინიცია, საქართველოდან ევროპაში წამსვლელთა შორის რამდენია მეცნიერი, ჩინოვნიკი, ბიზნესმენი, ტურისტი?! როდესაც ჩვენში რომელიღაც ბაგა-ბაღის უფროსის მოადგილე ხულიგნობს, უკვე ყველამ იცის, რომ ის ხელისუფლების წარმომადგენელია, რადგან ჩვენთან სამსახური მხოლოდ ხელისუფლებასთან დაახლოებულ ხალხს აქვს. ჯერ ბაგა-ბაღი რა არის, ახლა იმის დირექტორი და მისი მოადგილე რა უნდა იყოს? მაგრამ ისიც აღიქმება, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი. ამიტომ გასარკვევია, ევროპაში წასულ ამ 45 ათას ადამიანს შორის რამდენია ჩინოვნიკი? მაშინ ვიტყვით, რომ ხელისუფლებამ თავისთვის გაიკეთა უვიზო მიმოსვლა ევროპაში. ხოლო, თუ წამსვლელთა შორის მეცნიერები, ანუ ჩემი კოლეგები სჭარბობენ, მაშინ ეს კარგი მაჩვენებელი იქნება“,** — აცხადებს სოსო ცინცაძე, რომლის აზრითაც, ნორმალურ ქვეყნებში სწორედ ყველაზე მეტი პედაგოგი, მეცნიერი და პენსიონერი მოგზაურობს, რადგან მათ ზაფხულში ყველაზე მეტი დრო აქვთ.

ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოდან უცხოეთში ძირითადად ჩინოვნიკები და ხელისუფლების მხარდამჭერი ბიზნესმენები მიემგზავრებიან.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ პირადად მანაც ისარგებლა უვიზო მიმოსვლით. რაც შეეხება 45 ათასი ჩვენი მოქალაქის გამგზავრებას ევროკავშირში, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს არ არის დიდი ციფრი, მთავარია, რამდენი ადამიანი დარჩება ევროპაში და რამდენი დაარღვევს ამ სამთვიან პირობას...

**„მოლდოვის მაგალითზე შემიძლია, გითხრათ, რომ მოლდოვიდან უამრავი ადამიანის გადინებამ დემოგრაფიული ასიმეტრიულობა გამოიწვია ქვეყანაში, რაც გეოპოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებაზეც აისახა. ამდენად, გარკვეული პერიოდის შემდეგ დავინახავთ, საქართველოდანაც რამდენი ადამიანი დარჩება ევროპაში“,** — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ.

**მანანა ნოზაძე**

---

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

## განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ ხორციელდება E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამტრედია - გრიგოლეთის მონაკვეთის კმ30+000-კმ42+000 (ლოტი III) გზის მშენებლობის პროექტი (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელი ნიგვზიანში მდებარე, მოქალაქე **მიხეილ კოჩალიძის** (პ/ნ 61009025711) საკუთერბაში არსებული სასოფლო - სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (**ს/კ 27.14.43.052,** ნაკვეთის წინა ნომერი 27.14.06.238) მთლიანი ფართობის (3359 კვ.მ) ნაწილი – 1827 კვ.მ, მასზე არსებული შენობა/ნაგებობა და ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე **მიხეილ კოჩალიძესთან** (პ/ნ 61009025711) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების (**ს/კ 27.14.43.052** ნაკვეთის წინა ნომერი 27.14.06.238) - ნაწილის 1827 კვ.მ-ის, მასზე არსებული შენობა/ნაგებობის და ნარგავების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 18 ივლისის 1-1/312 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქე **მიხეილ კოჩალიძის** (პ/ნ 61009025711) სასოფლო - სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (**ს/კ 27.14.43.052,** ნაკვეთის წინა ნომერი 27.14.06.238) მთლიანი ფართობის (3359 კვ.მ) ნაწილზე - 1827 კვ.მ-ზე, მასზე არსებული შენობა/ნაგებობასა და ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, **მიხეილ კოჩალიძის** (პ/ნ 61009025711) საკუთრებაში არსებული სასოფლო - სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (**ს/კ 27.14.43.052**, ნაკვეთის წინა ნომერი 27.14.06.238) მთლიანი ფართობის (3359 კვ.მ) ნაწილზე– 1827 კვ.მ-ზე, მასზე არსებულ შენობა/ნაგებობასა და ნარგავებზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

**2017 წლის 18 აგვისტოს 14 საათზე ტარდება სააქციო საზოგადოება „ფოთი მაცივარის“ აქციონერთა კრება. ქ.ფოთი, ლარნაკას №9.**

**დღის წესრიგი:**

**1. 2016 სამეურნეო წლის შედეგის განხილვა.**

**სს „ფოთი მაცივარის“ დირექცია**

---

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ხუდონი“-ს რეკონსტრუქციისა ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა

**საჯარო განხილვის ჩატარების ადგილი:** ქ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, მისამართი: ქ. წალენჯიხა, სალიას ქ. №5;

**საჯარო განხილვის ჩატარების თარიღი და დრო:** 2017 წელი, 18 სექტემბერი, 14:00 სთ.

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „ხუდონი“-ს რეკონსტრუქცია

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს 2017 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქ. №2. საკონტაქტო პირი: ირაკლი ჯინორია, ტელ: 577 38 11 11 ელ. ფოსტა: irakli.jinoria@gse.com.ge

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს სათაო ოფისი. ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2;

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა,ქ. წალენჯიხა, სალიას ქ. №5;

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6; ტელ.: +995 (32) 272-72-60

---

## განცხადება

შპს „ხრამის კასკადი“ ქვემო ქართლის რეგიონში, მდ. ხრამზე გეგმავს 3-საფეხურიანი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის („ხრამი 3 ჰესი“, „ხრამი 4 ჰესი“ და „ხრამი 5 ჰესი“) მშენებლობას და ექსპლუატაციას. ჰესების კასკადის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის წინასწარი საჯარო განხილვები გაიმართება 2017 წლის 9 და 11 აგვისტოს, ბოლნისის, დმანისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში.

საჯარო განხილვები ჩატარდება შემდეგი განრიგით:

- 2017 წლის 9 აგვისტოს 11 საათზე - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №106)
- 2017 წლის 9 აგვისტოს 14 საათზე - დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს №41);
- 2017 წლის 11 აგვისტოს 11 საათზე - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქუჩა №34)

საჯარო განხილვებზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: 577 64 18 80; 551 75 57 57; 2 60 15 27.

**შპს „ხრამის კასკადის“ ადმინისტრაცია**

# SOS: ტყვიანარევი ხორცი და წყალი

**ხილ-ბოსტნეულის შემდეგ ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტების ნუსხაში საქონლის ხორცი და სასმელი წყალი მოხვდა. მძიმე მეტალები ორივე მათგანშია აღმოჩენილი.**

ტყვიის გადამეტებული ოდენობა, უმეტესად, ადგილობრივი საქონლის ხორცში და ადგილობრივი წარმოშობის სხვა სურსათში (მათ შორის, სასმელ წყალში) დადასტურდა. ეს, სავარაუდოდ, გარემოს ტყვიით დაბინძურების შედეგია. შესაბამის ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო კვლევაზე დაყრდნობით „მომხმარებელი.ჯი" აქვეყნებს.



„ტყვიის გადამეტებული ოდენობა, უმეტესად, საქონლის ხორცში და ადგილობრივი წარმოშობის სხვა სურსათშია აღმოჩენილი. ეს გარემოს ტყვიით დაბინძურებას უკავშირდება. სიაში მითითებულია, რომ შემთხვევების უმეტესობასთან დაკავშირებით შეტყობინება გაიგზავნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში და სამინისტროდან მიღებული პასუხის მიხედვით, სამინისტრო შესაბამის მუნიციპალიტეტებში ნიადაგისა და ზედაპირული წყლის კვლევას ახორციელებს. თუმცა, დაბინძურების მიზეზების შესახებ არაფერია აღნიშნული. აუცილებელია, რომ დაბინძურების ყველა შემთხვევის მიზეზები იქნას გამოკვლეული და შესაბამისი ზომები იქნას მიღებული მავნე ნივთიერებების ზემოქმედებისაგან მოსახლეობის დასაცავად.

ჩვენ მივმართეთ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ფინანსთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ სამინისტროებს და სურსათის ეროვნულ სააგენტოს ტყვიით დაბინძურების ყველა შემთხვევის მიზეზების კვლევის შედეგების მისაღებად", — განმარტავს „მომხმარებელი.ჯი".

პარალელურად ორგანიზაცია სურსათის ტყვიის შემცველობაზე შემოწმების შედეგებს აქვეყნებს. მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ტყვიით დაბინძურებული ოთხივე ნიმუში ზუგდიდშია აღმოჩენილი და იდენტიფიცირებულია, რომ ერთ-ერთი პროდუქტი იმპორტირებულია.

სანამ ხორცისა და სასმელი წყლის დაბინძურების საკითხი გაირკვეოდა, მანამდე არასამთავრობო ორგანიზაცია „ეტიკის" ხილისა და ბოსტნეულის საგანგაშო კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. მოხმარებისთვის მეტად საჭირო და პოპულარული პროდუქტი ნიტრატებით აღმოჩნდა გაჯერებული.

„ეტიკის" კვლევის თანახმად, ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქტების თითქმის ნახევარი ნიტრატების საშიშ რაოდენობას შეიცავს. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშია საზამთრო, რომელშიც ნიტრატების შემცველობა დასაშვებ ნორმას სამჯერ აღემატება. დაახლოებით ამდენივეა შხამქიმიკატის რაოდენობა ვაშლატამაში. რაც შეეხება ბოსტნეულს, ამ მხრივ საფრთხე განსაკუთრებით პომიდორს უკავშირდება, ხოლო კარტოფილსა და ხახვში ნიტრატების შემცველობა ნორმის ფარგლებშია.

სურსათის ეროვნული სააგენტო აღნიშნულ კვლევას არ ეთანხმება, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებს ადასტურებს.

**„ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ასეთი დარღვევები არ გვაქვს, მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევები, რომლებსაც უყურადღებოდ არასოდეს ვტოვებთ. სურსათის ეროვნული სააგენტო ამ ორ საკითხს ახლაც იკვლევს: როგორია სანელებლებში ტყვიის შემცველობა და ნიტრატების დონე ხილ-ბოსტნეულში. რამდენიმე კვირაში გამოკვეთილი სურათი გვექნება და საბოლოო დასკვნასაც გამოვაქვეყნებთ. როდესაც ეს კვლევა დასრულდება, ჩვენ უკვე შევძლებთ თამამად ვთქვათ, რა პრობლემასთან გვაქვს საქმე და როგორ მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციამ ასეთი შედეგი",** — განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსმა გია მიქაძემ.

**ბექა დანელია**



# „ბავშვთა სამყაროს" დირექტორს ბრალი წარედგინა

**„ბავშვთა სამყაროს" დირექტორს გიორგი მაჭავარიანს ბრალი წარედგინა, თუმცა ადვოკატ გაგი მოსიაშვილის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს არ აღიარებს.**

მისივე განცხადებით, არსებობს ექსპერტების დასკვნა, რომ შენობაში უსაფრთხოების წესები დაცული იყო, ამიტომ გაუგებარია, დაკავების მოტივი.

ცნობისთვის, გიორგი მაჭავარიანისადმი წაყენებული ბრალი 4-დან 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

პროკურატურამ „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყაროს" დირექტორი და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი გუშინწინ დააკავეს.

* * *

„ბავშვთა სამყაროს" აქციონერებისა და მოიჯარეების აქციის პარალელურად, პროკურატურის შენობასთან „ბავშვთა სამყაროს" მოვაჭრეების აქცია მიმდინარეობს. მოვაჭრეები ეთანხმებიან გამოძიების ვერსიას და ამბობენ, რომ მათი ქონების დაცვა დირექტორისა და დაცვის სამსახურის ვალდებულება იყო.

როგორც მოვაჭრეები აცხადებენ, აქცია, რომელიც ერთი კვირაა 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს, მანამდე არ დაიშლება, ვიდრე ზარალს სრულად არ აუნაზღაურებენ.

**„პირადად მაჭავარიანს ხელს ვერ ვადებთ, მაგრამ პირველი მოთხოვნა მას წავუყენეთ, რადგან ჩეკს მათ ვაძლევდით, ჩვენი ქონება ებარათ მაგათ. დღე ჩვენ ვიცავდით და ღამე უნდა დაეცვათ დაცვას და დირექციას. ამიტომ პირველი დამნაშავეები არიან დაცვიდან დაწყებული დირექტორამდე. მოვითხოვთ ზარალის ანაზღაურებას",** — აცხადებს „ბავშვთა სამყაროს" მოვაჭრე ლია ვასაძე.

ამავდროულად, „ბავშვთა სამყაროს" აქციონერები და მოიჯარეები იუსტიციის სამინისტროსთან დაკავებული დირექტორის გიორგი მაჭავარიანის გათავისუფლებას ითხოვენ. აქციის მონაწილეების განცხადებით, მაჭავარიანი უდანაშაულოა, რადგან უსაფრთხოების წესები, რასაც მას გამოძიება ედავება, დაცული იყო და თუ სავაჭრო ცენტრის დაწვაში მაჭავარიანია დამნაშავე, მაშინ ასეთივე დამნაშავეები ისინიც არიან.

შეგახსენებთ, რომ პროკურატურამ „სავაჭრო სახლი ბავშვთა სამყაროს" დირექტორი და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი გუშინ დააკავა.

# თამბაქოს შეფუთვას 5 წელი ხელს ვერ ახლებენ



**ბიზნესმა დეპუტატები დაარწმუნა და თამბაქოს ნაწარმის ერთგვაროვანი, სტანდარტიზებული შეფუთვის შემოღება 5 წლით გადავადდა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გამარტივებული წესით უკვე განიხილა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლის მიხედვით, თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვით რეალიზაციის-განლაგების მომწესრიგებელი ნორმების ამოქმედების ვადად განისაზღვრება 2022 წლის 31 დეკემბერი, ნაცვლად 2018 წლის პირველი იანვრისა.**

კანონპროექტის ავტორები მიიჩნევენ, რომ ახალი რეგულაციის ამოქმედებამდე დამატებით უნდა შეფასდეს მისი ფისკალური ზეგავლენა და ასევე, გათვალისწინებულ იქნას ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებული საწარმოო პროცესების სირთულე.

„ჯიბისის" ინფორმაციით, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ თამბაქოსთან დაკავშირებული შეზღუდვები ეტაპობრივად განხორციელდეს, რათა ამ პროცესში მონაწილე პირებს საშუალება მიეცეთ ადაპტირდნენ განსხვავებულ ბიზნეს-გარემოსთან და არ მოხდეს საბიუჯეტო შემოსავლების მყისიერი დანაკლისი, რაც მოსალოდნელია კიდეც.

**„ავსტრალიაში აღნიშნული რეგულაცია შემოღებული იქნა მხოლოდ 2012 წლიდან. თამბაქოს ნაწარმის ერთგვაროვანი შეფუთვა 2016 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო ასევე ინგლისმა, ირლანდიამ და საფრანგეთმა. მსგავსი რეგულაციების შემოღებას განიხილავენ ევროკავშირის ქვეყნები, მხოლოდ 2020 წლიდან. ამ რეგულაციის დაგეგმვის შემდგომ, არის 2-3-წლიანი გარდამავალი ფაზა, როდესაც ეს ქვეყნები კიდევ აკვირდებიან პროცესებს, თუ როგორია ამ რეგულაციების ზეგავლენა",** — ამბობს დეპუტატი ანრი ოხანაშვილი.

ახალ გადაწყვეტილებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება არასამთავრობო სექტორი. თამბაქოს კონტროლის ალიანსში ამბობენ, რომ თამბაქოს კოლოფების დღევანდელი შეფუთვა უმძლავრესი იარაღია ბავშვების მწეველობაში ჩასათრევად. მოსალოდნელი გადავადებით კი ათასობით ჩვენი ახალგაზრდა კვლავაც დამოკიდებული გახდება ამ სასიკვდილო პროდუქტზე და ეს ტრაგედია არასდროს დასრულდება. ამ გადავადების შემდეგ, გამორიცხული არ არის, კანონის ყველა სხვა მნიშვნელოვანი მუხლებიც შეიცვალოს.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის ვარაუდით, საქმე გვაქვს ელიტურ კორუფციასთან ან არაკომპეტენტურობასთან.

ბიზნესი კი, პირიქით, იმთავითვე თამბაქოს სტანდარტული შეფუთვის დანერგვას ეწინააღმდეგებოდა. თამბაქოს საერთაშორისო კომპანიის კორპორაციულ საქმეთა ხელმძღვანელის ივანე ხასიას თქმით, სტანდარტულ შეფუთვასთან დაკავშირებით კანონპროექტის განახლებულ ვარიანტში ჩანაწერის გაჩენა მოულოდნელი სიახლე იყო და მასთან დაკავშირებით ბიზნესთან არავითარი კომუნიკაცია არ შემდგარა.

ხასიას თქმით, საქართველოს თამბაქოს სტანდარტული შეფუთვის დანერგვას არცერთი საერთაშორისო ხელშეკრულება არ ავალდებულებს და მისი ამოქმედებით კომპანიები კარგავენ მათ ყველაზე ფასეულ აქტივს — ბრენდს, ამას კი ბაზარზე კონკურენციის გაქრობა მოჰყვება.

**ბექა დანელია**

# ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირია დაკავებული

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის მიცემის ფაქტზე შპს „ლადი 2011"-ის დამფუძნებელი ვლადიმერ ა. დააკავეს.**

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ვლადიმერ ა. დაუკავშირდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება — გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოს ინსპექტირების განყოფილების უფროს სპეციალისტს და შეატყობინა, რომ სურვილი ჰქონდა ლანჩხუთის რაიონში მდინარე სუფსას სანაპიროდან უკანონოდ მოეპოვებინა სასარგებლო წიაღისეული — ინერტული სამშენებლო მასალა შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ბრალდებულმა საჯარო მოხელეს სთხოვა აღნიშნულ საქმიანობაში სამსახურებრივი მფარველობა თავის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, რის სანაცვლოდ დაჰპირდა, რომ წინასწარ ქრთამის სახით მისცემდა მის მიერ ყოველთვიურად მოსაპოვებელი ქვიშა-ღორღის საფასურს, ერთ კუბზე 50 თეთრის ოდენობით.

შპს „ლადი 2011"-ის დამფუძნებელმა აღნიშნულ საჯარო მოხელეს წინასწარ ქრთამის სახით გადასცა მოსაპოვებელი 8000 კუბი ქვიშა-ღორღის უკანონოდ მოპოვების საფასური — 4000 ლარი, რა დროსაც იგი სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.



# ავტოდაზღვევა და სადაზღვევო სისტემა საქართველოში

**საქართველოს სადაზღვევო სექტორმა 2017 წლის პირველი კვარტალი 5,67 მლნ ლარის წმინდა მოგებით დაასრულა, რაც 1,30 მლნ ლარით მეტია, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2016 წლის პირველ კვარტალში სადაზღვევო კომპანიების წმინდა მოგებამ 4,37 მლნ ლარი შეადგინა.**

ამასთან, 2017 წლის პირველ კვარტალში სადაზღვევო კომპანიების მთლიანი აქტივები, 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 538,72 მლნ ლარიდან 586,03 მლნ ლარამდე, კაპიტალი კი – 114,05 მლნ ლარიდან 145,03 მლნ ლარამდე გაიზარდა.

2017 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე რეგისტრირებულია 15 სადაზღვევო კომპანია, მათგან 14 ფლობს როგორც სიცოცხლის, ისე არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი – მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევისას.

პირველ ადგილზე, დაზღვევის მიხედვით, ჯანმრთელობის დაზღვევის სერვისია. მას მოსდევს ავტომობილების დაზღვევის სერვისი, რომლის სტატისტიკაც მედიას დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურმა მიაწოდა.

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკით, საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილებიდან დაზღვეული მხოლოდ 4,3 %-ია.

მათი ინფორმაციით, 2017 წლის პირველ კვარტალში დაზღვეული იყო მხოლოდ 56 112 ერთეული ავტომანქანა. 2017 წლის პირველი კვარტალის სტატისტიკური მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერ გამოქვეყნებული არა აქვს, 2016 წლის მონაცემით კი, ქვეყანაში სულ 1 126 470 ავტომანქანა იყო რეგისტრირებული. ამავე სტატისტიკით, ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი (91%) 2007 წლამდეა წარმოებული. 3 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 1,3 %-ს შეადგენს (შსს-ს 2017 წლის ოფიციალური სტატისტიკა ჯერ გამოქვეყნებული არა აქვს. თუ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მონაცემს გავითვალისწინებთ, გამოვა, რომ 2 თვეში, დაახლოებით, 150-180 ათასით არის გაზრდილი).



მათივე ინფორმაციით, დაზღვეული ავტომობილები სახელმწიფო ორგანიზაციების და უცხოური ორგანიზაციებისაა (იმ ქვეყნების, სადაც დაზღვევა ყოველდღიურ კულტურაშია). გარდა ამისა, ეს არის ის ავტომობილები, რომლებიც ნაყიდია კრედიტით ან გირაოშია ჩადებული, დალომბარდებული და დაზღვევაც კრედიტის გამცემის მიერაა მოთხოვნილი.

**საქართველოში ავტოპარკს ყოველწლიურად 70 000 -100 000 ახალი ავტომობილი ემატება, საიდანაც მხოლოდ მცირე ნაწილი ეზღვევა.** სადაზღვევო ინსტიტუტის პრეზიდენტი ამ სიტუაციიდან გამოსავალს ქვეყნის განვითარებაში და, შესაბამისად, სადაზღვევო კულტურის ამაღლებაში ხედავს.

რაც შეეხება საერთაშორისო გამოცდილებას, Insurance Research Council-ის მონაცემებით, 2016 წელს ამერიკაში ავტოპარკის 87.4 პროცენტი იყო დაზღვეული.

**ნინო ევგენიძე**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი № 1 | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შედგენილობაზე;<br>ბ) ლიცენზიის მიღებიდან ორი წლის ვადაში, მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით განახორციელოს წყლის მარაგების ანგარიშის შედგენა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს სანიტარული ზონების დაცვა;<br>დ) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში ლიცენზიანტმა უნდა უზრუნველყოს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი;<br>ე) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 20 მარტის №1/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდისა და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;<br>ვ) მარაგების დამტკიცების შემდეგ დამტკიცებული მარაგების ფარგლებში აითვისოს საბადოს მთლიანი რესურსი;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმოთაულობის მოწყობა, ჰერმეტიზაცია და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება;<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა უზრუნველყოს მინერალური წყლის საბადოსა და წყლის ჩამომსხმელ საწარმოს შორის წყლის ტრანსპორტირება, მხოლოდ მათი დამაკავშირებელი მილსადენის საშუალებით.<br>ი) მოპოვებული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>კ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>მ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ნ) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმოთაულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია.<br>პ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ, ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.<br>ჟ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორბელის მიმდებარე ტერიტორია („ლამიჯალის" №5 ჭაბურღილი), მიწისქვეშა მინერალური წყლის შესწავლა-მოპოვება. |
